ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## იან კელი: „ოკუპანტის გავლებულ საზღვრებს არ ვცნობთ

გვ.4



## 16 ნოემბრიდან

რომან გვენცაძე

**საბედისწერო გასროლა**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




შაბათი – კვირა, 18 – 19 ნოემბერი, 2017 №274 (7509) ფასი: 50 თეთრი

# „ქალაქის ცოლისძმის საქმე სუსში ჯერ არ დაუხურავთ“



დიმიტრი ბიძინაშვილი: „საქალაქო სამსახურების უფროსებად რამდენიმე კარგ თამადას ვუწევთ რეკომენდაციას“

გვ.3

მერიაში თამადის კურსები იხსნება?



## რომან გოცირიძე: „მე რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გავხდი, 1 ლარი 2 დოლარი ღირდა და 6 თვეში 1.5-მდე ჩამოვიდა“

გვ.2

„ლარის გაუფასურება მთავრობისა და ეროვნული ბანკის ბრალია“





გვ.2

## ნაციონალები ჭონქაძე–კედელაშვილის დანიშვნას სასამართლოში გაასაჩივრებენ

მარიკა დათუკიშვილი: „ნუგზარ ჭონქაძე საზოგადოებისთვის საშიშია“

ახალმა შს მინისტრმა დეპუტატებს დამნაშავეობასთან ბრძოლის გეგმა გააცნო



გვ.5

## სოხუმში ოპოზიციური ბლოკი გენპროკურორის გადაყენებას მოითხოვს

## ნუგზარ ჭონქაძე: „არც ფაშისტი ვარ და არც ჰომოფობი, რაში მდებთ ბრალს?!“

გვ.2



### ეკონომიკა

გვ.6




## რატომ დაიკლო სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგებამ?

## პურზე ფასი არ გაიზრდება



## დავით მირცხულავა: „ენერგეტიკაში ინვესტიციები შემცირდება“




ISSN 1987-9385

**4** მამუკა ფუსკაძე: „საპატრულო პოლიცია მდევნის“

**5** სერგო რატიანი: „ვანოს შოუში“ ბიძინა ივანიშვილს ექნება გაცილებით მაღალი ყურებადობა, ვიდრე ეს ექნება თქვენს არხებზე“

**7** გუგა ქაჯიბაძე: „დამწვრობის დაახლოებით 80% გაუფრთხილებლობით ხდება“

**4** ლია მუხაშავრია: „ახალი სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილზე ნაკლები არ უნდა იყოს“

# რომან გოცირიძე: „მე რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გავხდი, 1 ლარი 2 დოლარი ღირდა და 6 თვეში 1.5-მდე ჩამოვიდა“

## „ლარის გაუფასურება მთავრობისა და ეროვნული ბანკის ბრალია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი რომან გოცირიძე პასუხობს.**

***— ბატონო რომან, უმრავლესობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს პარლამენტში იბარებს. ვინ არის ამ პროცესზე პასუხისმგებელი, მხოლოდ ეროვნული ბანკი?***

— როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა იბარებს პარლამენტში ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ლართან დაკავშირებით, ეს არის, ფაქტობრივად, ჯოხის გადატეხა ეროვნული ბანკისადმი და მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამართლება. ამით მათ უნდათ, ვითარება წარმოაჩინონ ისე, თითქოს ამაში დამნაშავეა მხოლოდ ეროვნული ბანკი და რომ მთავრობას საერთოდ არ ეხება ლარის კურსი, რაც არ არის ასე.

***— მთავარი დამნაშავე მთავრობაა?***

— კანონის პირდაპირი ჩანაწერით ეროვნული ბანკის მთავარი ფუნქცია არის ინფლაციასთან ბრძოლა. თუ ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ფასების ზრდაზე, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ფასების ზრდის შესამცირებლად უნდა იმოქმედოს ლარის კურსზე. ლარის გაუფასურების დროს რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დაიბარო და მხოლოდ მას მოსთხოვო პასუხი, ეს არ არის სწორი.

***— მთავრობა უნდა დაიბარონ?***

— ამ შემთხვევაში სწორი იქნება დაიბარონ როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ასევე პრემიერ-მინისტრი და მთელი ეკონომიკური გუნდი, ვინაიდან შეუძლებელია, ეროვნულმა ბანკმა აღმოფხვრას, მაგალითად, საგარეო ვაჭრობის პრობლემა. დავუშვათ, თუ ქვეყანაში ექსპორტი შემცირდა, ან თუ ქვეყანაში არ შემოდის ინვესტიციები, ან თუ ბიუჯეტში არის დიდი დეფიციტი და ამ დეფიციტის შედეგად ხდება ფულის მასის ზრდა და იმავე მოთხოვნის გაზრდა უცხოურ ვალუტაზე, ეროვნულმა ბანკმა რა უნდა გააკეთოს?! ცუდი ეკონომიკური პოლიტიკის მიერ გამოწვეული ზიანი როგორ გაანეიტრალოს ეროვნულმა ბანკმა?!

***— ანუ მთავარი დამნაშავე ხელისუფლებაა?***

— როდესაც უმრავლესობა აცხადებს, ვიბარებთ ეროვნულ ბანკსო, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უნდათ შექმნან განტევების ვაცი და ამ წლების განმავლობაში გატარებულ მთავრობის ცუდ ეკონომიკურ და საფინანსო პოლიტიკას სინამდვილეში ისინი ხელს აფარებენ. ამიტომ, თუ დაბარებაა, უნდა დაიბარონ ორივე ერთად.

***— თქვენ განაცხადეთ, მომეცით 6 თვე და ლარს დავაბრუნებ ძველ ნიშნულზეო. რას შეცვლიდით?***

— ბუნებრივია, 6 თვე მომეცით, ეს არ ნიშნავს, მე რომ 6 თვე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ვიყო, ლარი უცბად გამყარდება, თუმცა სწორედ 1 დოლარი უდრიდა 2 ლარს, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გავხდი და შემდეგ 6 თვეში 1,5 გახდა. მაშინ დიდი პრობლემა იყო ლარის ასე სწრაფად გამყარება, მასაც თავისი უარყოფითი მხარეები ჰქონდა. ხელისუფლებაში 6-თვიანი ყოფნის ვადაში ყველაფერი დადგებოდა თავის ადგილას.



***— ამით რის თქმა გინდათ?***

— როდესაც მთავრობა და ეროვნული ბანკი არის გონიერი ადამიანების ხელში, როგორც იყო იმ წლებში, მთელი 9 წლის განმავლობაში რა იყო ლარის გაუფასურება, ჩვენ არც კი გვიგრძნია. ამიტომ აქ, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ეს საკითხი სავსებით გადაჭრილი იქნებოდა. ამ მთავრობის შემადგენლობით კი, როდესაც ამ ადამიანებს არანაირი პოლიტიკური წონა და პროფესიული გამოცდილება არა აქვთ, ამ ადამიანების ხელში ძნელი იქნება ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის დამყარება და მუდამ ვიქნებით ამ არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის მძევლები.

***— ვინ არის ამ ყველაფერში მთავარი დამნაშავე?***

— მთავარი დამნაშავე არის საქართველოს მთავრობა, მთავრობის ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და რომელიც მეოთხე წელია, ერთსა და იმავე დროს მთავრდება ლარის გაუფასურებითა და ადამიანების გალატაკებით. ვინაიდან ლარის ყოველი გაუფასურება ქმნის, ფაქტობრივად, ქვეყანაში უმუშევრობას, ეს უქმნის ყველაზე დიდ პრობლემას მცირე და საშუალო ბიზნესს, იწვევს პატარა ფირმების დახურვას, არასტაბილურობას დიდი კომპანიების მუშაობაში და მთლიანად ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას. ეს იწვევს ფასების ზრდას და აღარიბებს ადამიანებს.

ეს არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება სახელმწიფო რეგულაციების გაძლიერებით. შეიქმნა უამრავი სახელმწიფო უწყება, უამრავი მარეგულირებელი უწყება. ბიუჯეტში არის უამრავი უსარგებლო ხარჯი, გაიზარდა ცუდი ხარჯების წილი, ასევე გაიზარდა უვარგისი, ფუჭი, კორუფციული თუ ბიუროკრატიული ხარჯების როლი ქვეყნის ბიუჯეტში.

***— გალარების პროგრამაზე რას იტყვით?***

— ეს არის ლომის წილი დანაშაული მთავრობისა და ეროვნული ბანკისა ამ პოლიტიკის გამოცხადების დღიდან. ეროვნულმა ბანკმა გაზარდა რეფინანსირების სესხები, შემოიღო ე.წ. ერთთვიანი რეფინანსირების ინსტრუმენტი და 400 მილიონი ლარი გასცა ერთჯერადად კომერციულ ბანკებზე, რომლებსაც ამ გალარების პროცესში უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

ეს ძალდატანებაც საერთოდ გაუმართლებელი იყო. თუმცა ეს ერთთვიანი, თავისი განმეორებადობით, გახდა მრავალთვიანი და, შესაძლოა, მრავალწლიანიც, რადგან ყოველი ერთი თვის შემდეგ ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს კვლავ უკეთებს და უკეთებს ამ ინექციას. დღეს უკვე 1,7 მილიარდს მიაღწია ამ რეფინანსირების სესხებმა. პარალელურად მთავრობამ გადადგა უგუნური ნაბიჯი.

***— რა თვალსაზრისით?***

— როდესაც ბიუჯეტში შემოდიოდა შემოსავლები, წელიწად-ნახევარში ფული არ იხარჯებოდა, ვინაიდან ბიუჯეტის გეგმას ვერ ასრულებდნენ, იყო ჩამორჩენა 500 მილიონით, აიღეს და ეს 500 მილიონი გაასესხეს კომერციულ ბანკებზე. 3 თვე გავიდა და კომერციული ბანკები უკან არ აბრუნებენ ამ ფულს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყოველ სამშაბათს უნდა დაებრუნებინათ 50-50 მილიონი და ამ კვირის სამშაბათს კვლავ არ წაართვა ხაზინამ და ისევ ჩაასესხა უკან.

კომერციული ბანკები სინამდვილეში დასვეს ნარკოტიკზე. ამ ფულის დაბრუნება მათ არ შეუძლიათ, ვინაიდან დაეწყებათ „ლომკა“. ახლა არიან ამ თავიანთი ინიციატივების მახეში გაბმული, როგორც ერთი, ისე მეორე. მთავრობას რომც ჰქონდეს სურვილი ფულის მასის შემცირებისა და კომერციული ბანკებიდან ფულის ამოღებისა, კომერციულ ბანკებს ეს არ შეუძლიათ.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ მათ ყოველთვის ჰქონდათ იმის იმედი, რომ მთავრობა მათ სესხს მუდმივად გაუგრძელებდა და რეალურად ეს სესხი არ იქნებოდა სამთვიანი. მთავარი დამნაშავე ამ პროცესში არის საქართველოს მთავრობა და ასევე არანაკლები წვლილი მიუძღვის ეროვნულ ბანკს, რომელიც ამართლებდა მთავრობის ასეთ პოლიტიკას.

ეროვნული ბანკი ამ ხელისუფლებას ჰყავდა დაბეჩავებული, ჰყავდა მუდმივი დარტყმის ქვეშ. ეროვნული ბანკის წინა პრეზიდენტს დაჭერით ემუქრებოდნენ და ახალი ადმინისტრაციაც შეშინებულია, რომელსაც არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა მთავრობისთვის, რადგან ნებისმიერი წინააღმდეგობა შემდეგ ხდება თავდასხმის ობიექტი. სწორედ პოლიტიკური თავდასხმაა, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს იბარებენ პარლამენტში და მთავრობის ხსენებაც კი არ არის! ეროვნულ ბანკს არ ჰყოფნის სითამამე, თქვას სიმართლე და იგონებს ზღაპრებს ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით!

***— ლარის გაუფასურება მოლოდინების ბრალიაო. ასე არ არის?***

— ლარის გაუფასურება მრავალკომპონენტიანია და აქ მოლოდინების ფაქტორიც ჩაერთო. ადამიანი როდესაც ხედავს, რომ ლარი უფასურდება, არათუ იმპორტიორი, ნებისმიერი მოქალაქე წავა და თავის ხელფასს დოლარში გადაახურდავებს, რადგან მას აქვს განცდა, რომ ლარი კიდევ გაუფასურდება. ეს მოლოდინების ბრალი კი არ არის, ამ პროცესმა მოლოდინები წარმოშვა და არა ის, რომ მოლოდინები იყო პირველი ფაქტორი ლარის გაუფასურებაში.

ლარის გაუფასურებაში პირველად იყო ფუნდამენტური ფაქტორები. როდესაც მთავრობა და ეროვნული ბანკი ამბობს, რომ ეს იყო მოლოდინების ბრალი, მაშინ ორივე დამნაშავეა! მთელი მთავრობა უნდა მოვიდეს პარლამენტში თავისი პრემიერ-მინისტრით და ხალხის წინაშე პასუხი აგოს!

# ნაციონალები ჭონქაძე-კედელაშვილის დანიშვნას სასამართლოში გაასაჩივრებენ

## მარიკა დათუკიშვილი: „ნუგზარ ჭონქაძე საზოგადოებისთვის საშიშია“

შორენა მარსაგიშვილი

**ახალი მოწვევის საკრებულოს დედაქალაქის მთავრობა დასამტკიცებლად ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ წარუდგინა. ახალ საკრებულოში მისვლას კახა კალაძე აპირებდა. გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქის თავმა საკრებულოში მისვლა უსაფრთხოების სამსახურის უფროსად ნუგზარ ჭონქაძის გარშემო ატეხილი ხმაურის გამო გადაიფიქრა.**



მერის მიუსვლელობას ოპოზიციის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. „ევროპულმა საქართველომ“ თავიდანვე დატოვა სხდომა.

მათი პროტესტი გაუგებარი აღმოჩნდა როგორც კალაძის მოადგილეებისთვის, ასევე საკრებულოში თავმოყრილი მეოცნებეებისთვისაც.

ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე აცხადებდა, რომ მერი არაა ვალდებული, საკრებულოში მისულიყო. იგივე გაიმეორა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ.

ოპოზიციის შეშფოთება-აღშფოთებას მერი ქუჩიდან გამოეხმაურა. მისთვის გაუგებარია, რატომ უნდა წასულიყო საკრებულოში. მისი თქმით, მან თავისი მისია შეასრულა და საკრებულოს დასამტკიცებელი მთავრობა გაუგზავნა.

— ცოტა გაუგებარია, საკრებულოში რატომ უნდა მივიდე. მე ვარ ხალხის მიერ არჩეული და უფლებამოსილებას უკვე შევუდექი, რაც შეეხება ქალაქის მთავრობას, კანონის შესა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# ნუგზარ ჭონქაძე: „არც ფაშისტი ვარ და არც ჰომოფობი, რაში მდებთ ბრალს?!“





— უარვყოფ, რომ მე ვარ ჰომოფობი, ფაშისტი, მოძალადე, ვერც ერთ ფაქტს ვერავინ მომიყვანს, რომ მე ვინმეზე ვიძალადე ჩემი ცხოვრების განმავლობაში.

ამის შესახებ თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსმა ნუგზარ ჭონქაძემ ჟურნალისტებს საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

ჭონქაძე ოპოზიციის წარმომადგენლებს მის მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებების გავრცელებაში ადანაშაულებს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შორენა მარსაგიშვილი

# „კალაძის ცოლისძმის საქმე სუსში ჯერ არ დაუხურავთ“

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „საქალაქო სამსახურების უფროსებად რამდენიმე კარგ თამადას ვუწევთ რეკომენდაციას“

**თბილისის საკრებულოს ბევრი უცნაური რამე უნახავს, მაგრამ აქ ჯერ ყანწით ხელში არავინ შესულა. ეს ტრადიცია მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის" წარმომადგენელმა დიმიტრი ბიძინაშვილმა დაამკვიდრა. მას სასმისით ხელში საკრებულოში მისვლა დედაქალაქის მერმა შთააგონა – კახა კალაძემ უსაფრთხოების სამსახურის უფროსად, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კაი თამადა წარადგინა.**

ყანწთან ერთად ბიძინაშვილმა საკრებულოში რამდენიმე ადამიანის დახასიათება მიიტანა. ეს ადამიანები აცხადებენ, რომ კარგი თამადები არიან, გინებაც იციან და საქალაქო სამსახურებში დასაქმებას ითხოვენ.

რა საქმე დევს კალაძეზე სუსში, რა ნიშნით არჩევს მერი თანამშრომლებს, რად გადაიქცა თბილისის საკრებულო? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყანწიანი მონიტორი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

***— 17 ნოემბერს თქვენ თბილისის საკრებულოში ყანწით მიხვედით და რამდენიმე თამადის დახასიათებაც მიიტანეთ.***

— ეს ჩემი მხრიდან მერის დამცინავ განცხადებებზე სრულიად ადეკვატური რეაქცია იყო. თბილისში 100.000 სოციალურად დაუცველი ცხოვრობს. ამ ადამიანებს დღეში საკვებად 1.18 თეთრი უნდა ეყოთ. ამ დროს კახა კალაძე ერთ-ერთი საქალაქო სამსახურის უფროსად ადამიანს იმ მოტივით გვინიშნავს, რომ ის არის კარგი თამადა.

ამის საპასუხოდ მივედი საკრებულოში ყანწით და კარგ თამადებს გავუწიე რეკომენდაცია. ჩვენ რამდენიმე ადამიანმა გვთხოვა, მერთან რეკომენდაცია გაგვეწია. ისინი ამტკიცებენ, რომ კარგად შეუძლიათ ქართული სუფრის გაძღოლა.

***— ამ თამადებთან დაკავშირებით ხუმრობთ თუ მართლა მოგმართათ ვინმემ?***

— რამდენიმე ადამიანმა მართლაც მოგვმართა, მათი მიმართვა ხუმრობანარევი იყო, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, მათთვის რეკომენდაცია გაგვეწია. თქვენი გაზეთის მეშვეობით ვაცხადებ, რომ ეს ადამიანები გადასარევი თამადები არიან, კარგად ცეკვავენ და მღერიან, ფეისბუქის ორი ექაუნთი აქვთ და არც მესამის გაკეთებაზე აქვთ პრობლემა. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, ლანძღვა-გინებაც შეუძლიათ.




საქალაქო სამსახურის უფროსისთვის ეს უნარ-ჩვევები, როგორც ვატყობ, აუცილებელია და ამიტომაც ამ ადამიანებს ვუწევთ რეკომენდაციას. კალაძეს აშკარად უჭირს კადრების მოძებნა და ჩვენ მოვუნახეთ კარგი თამადები.

იმედი გვაქვს, გამოგვეხმაურება და ამ ხალხს გასაუბრებაზე დაიბარებს. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ისინი არავისზე ნაკლები თამადები არ არიან.

***— მართალია, ამ ადამიანების დახასიათება მიიტანეთ საკრებულოში, მაგრამ დედაქალაქის მერი იქ არ მოვიდა, არადა, საქალაქო სამსახურების უფროსები უნდა წარედგინა დასამტკიცებლად. მის მიუსვლელობას რითი ხსნით?***

— ეს იმაზე მეტყველებს, რომ კალაძე საზოგადოებისთვის ანგარიშის გაწევას არ აპირებს. საკრებულოში ის დეპუტატები სხედან, ვისაც საქართველოს მოქალაქეებმა გამოუცხადეს ნდობა. აქედან გამომდინარე, კალაძე ვალდებული იყო, საკრებულოში მისულიყო და თავად წარედგინა ის გუნდი, რომელიც მან დაასახელა.

***— საკრებულოს წევრები და განსაკუთრებით მისი თავმჯდომარე გააფთრებით იცავდა კალაძეს. გიორგი ტყემალაძე ამბობდა, რომ მერი სულაც არაა ვალდებული, საკრებულოში გამოცხადდესო.***

— მისგან ასეთი განცხადებები არ უნდა გაგვიკვირდეს. ეგ ის გიორგი ტყემალაძეა, რომელიც კალაძის წინამორბედ ნარმანიასაც ყველაფერს უპრავებდა. საკრებულოს წევრები გადაქცეულები იყვნენ პულტზე ხელის დამჭერებად. რაც არ უნდა გაეკეთებინა ნარმანიას, ყველაფერზე ხელს უწევდნენ.

დავით ნარმანიას მერობის დროს ვნახეთ, რომ უამრავი ადამიანი დაიჭირეს ქრთამის აღების ფაქტზე. უამრავი დარღვევა იყო მერიაში. ტენდერებზე არაერთხელ აგორდა სკანდალი. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ათეულობით ათასი ლარი დაიხარჯა მერიის თანამშრომლებისთვის დანა-ჩანგლის ხმარების სწავლებაზე. სხვათა შორის, ბატონ ტყემალაძეს არც ამაზე არ ჰქონია რეაქცია.

***— დანა-ჩანგლის ხმარების შემსწავლელი კურსები ახსენეთ და თუ ბოლო ტენდენციებს გავითვალისწინებთ, ახლა შესაძლოა თამადობის შემსწავლელი კურსები გაიხსნას მერიაში. საქალაქო სამსახურის უფროსის პოზიციის დასაკავებლად კარგი სადღეგრძელოების თქმა ყოფილა აუცილებელი.***

— არც ეგ გაუჭირდებათ. დანა-ჩანგლის ხმარება ისწავლეს, ახლა თამადის კურსებსაც გაივლიან. მოდი, პირდაპირ ვთქვათ ისიც, რომ ის ძირითადი მასა, ვისაც ვაკრიტიკებდით, მერიაში კვლავ რჩება თანამდებობაზე. ამათ დაამატეს უცნაური კადრები. უსაფრთხოების სამსახურის უფროსად ისეთი ადამიანი გაუშვეს, რომელიც ჰომოფობიურ განცხადებებშია შემჩნეული.

ასეთ გუნდს გამოუცხადა ნდობა საკრებულოს „ქართულმა ოცნებამ“, რის შედეგადაც კლანური თბილისის მერია მივიღეთ. მერი არა მოქალაქეებზე, არამედ საკუთარ თავზე და ახლობლების კეთილდღეობაზე იზრუნებს. კალაძისგან ამას ყველანი მიჩვეულები ვართ.

ის ჯერ კიდევ ენერგეტიკის მინისტრი იყო, როდესაც მერიაში ახლობლებს ასაქმებდა. ცოლისძმა საერთოდ საქალაქო სამსახურის უფროსად დანიშნა. მასზე სუსში ჯერ ისევ აღძრულია საქმე.

სუსი არც იმას გვეუბნება, რომ ბრალეულობა არ დადასტურდა და საქმე დაიხურა, მაგრამ არც გამოძიება მიჰყავთ ბოლომდე.

***— საქმე დახურული არ არისო, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში ამას კალაძეს გაუხსენებენ?***

— კი ბატონო, შეგვიძლია, ეს ვერსიაც განვიხილოთ. სავარაუდოდ, სანამ ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ იქნება, ეს საქმე თაროზე იდება. „ოცნებას“ კიდევ ბევრი საქმეები აქვს თაროზე შემოდებული. დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან საქართველოში მოვა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამ საქმეებს გამოიძიებს.

***— მერიაში არსებულ დარღვევებს აქტიურად სწავლობდა „მედიატორი“. ბოლო პერიოდში გაჩერებული იყავით.***

— გაჩერებული ვიყავით არჩევნების გამო. ამ არჩევნებმა გაყალბების ფონზე ჩაიარა. ვნახეთ ადმინისტრაციული რესურსის სრული მობილიზება, რასაც არც „ოცნება“ უარყოფს. საარჩევნო ადმინისტრირებაში მესაფლავეებიც კი ჩართული ჰყავდათ. აქამდე ამ საქმეებს ვსწავლობდით, ახლა მერიას მივხედავთ. გავაგრძელებთ კვლევებს და საზოგადოებას ვაჩვენებთ, რა ხდება მერიაში.

# ნაციონალები ჭონქაძე-კედელაშვილის დანიშვნას სასამართლოში გაასაჩივრებენ

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბამისად ვიმოქმედე, გადავუგზავნე საკრებულოს, იმსჯელებენ და ალბათ, უკვე იქნება მიღებული გადაწყვეტილება, დამტკიცდება და ორშაბათიდან ჩვენ შევუდგებით მუშაობას, — განაცხადა მედიასთან საუბარში კალაძემ.

მერის მიუსვლელობა ნაციონალურმა მოძრაობამაც გააპროტესტა, მაგრამ ისინი კალაძეზე უფრო ჭონქაძე-კედელაშვილზე იყვნენ აღშფოთებული.

ნაციონალების ერთ-ერთმა ლიდერმა მარიკა დათუკიშვილმა გიორგი ტყემალაძეს ჭონქაძესთან დაკავშირებით ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალა გადასცა. ეს მასალები, დათუკიშვილის თქმით, ადასტურებს, რომ მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი ნუგზარ ჭონქაძე საზოგადოებისთვის საშიშია.

დეპუტატის განცხადებით, 16 ნოემბერს ისინი შეეცადნენ კახა კალაძესთან შეხვედრას. დათუკიშვილი ამბობს, რომ ვიდეო-აუდიო მასალის გადაცემას მისთვისაც აპირებდნენ. მერმა მათთან შეხვედრა არ ისურვა და ჭონქაძის კაი თამადობაზე არჩია საუბარი.

ჭონქაძის გარდა, ნაციონალებს მერთან სხვა კითხვებიც ჰქონდათ. ეს კითხვები მერის ერთ-ერთ მოადგილეს, გიგა ნიკოლეიშვილს ეხება. ეს უკანასკნელი, დათუკიშვილის განცხადებით, სუს-ის დავალებით მართავდა თბილისის მერიას დავით ნარმანიას დროს.

მისმა თანაპარტიელებმა რამდენჯერმე მოითხოვეს, რომ განსახილველი საკითხების ნუსხიდან ჭონქაძის დამტკიცების საკითხი ამოეღოთ. მათი მოთხოვნა არავინ გაითვალისწინა.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ეს შეუძლებელია, რადგან რიგგარეშე სხდომაა და რეგლამენტი ამას არ ითვალისწინებს.

ამ განმარტებამ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ უფრო გააცხარა. ფრაქციის თავკაცმა ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ის და მისი რაზმი კალაძის მთავრობის დამტკიცებაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ.

ამ განცხადების შემდეგ მათ სხდომა დატოვეს.

პროტესტის გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე, განცხადება ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა გააკეთა. ის „ოცნებას“ სასამართლოთი დაემუქრა.

მისი თქმით, ნაცმოძრაობა მერიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსად ნუგზარ ჭონქაძის დანიშვნის შემთხვევაში სამართლებრივ დავას დაიწყებს.

— ნუგზარ ჭონქაძე არა მარტო მერიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი უნდა იყოს, არამედ მონაწილეობა უნდა მიიღოს მერიაში სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღებაში. კანონში პირდაპირ არის მუხლები, რომლებითაც არ შეიძლება მხარი დაუჭირონ ამ თანამდებობაზე ნუგზარ ჭონქაძის დანიშვნას.

ჩვენ დაველოდებით თქვენ გადაწყვეტილებას და მომავალი კვირიდან დავიწყებთ სამართლებრივ დავას. ადამიანი, რომელიც გამოირჩევა ქსენოფობიური, ჰომოფობიური, დისკრიმინაციული მიდგომებით, ძალადობის წახალისებით, არ შეიძლება იყოს დედაქალაქის მთავრობაში, — განაცხადა ხაბეიშვილმა.

ნაციონალების გაწიწმატება მეოცნებეებმა შეურაცხყოფად მიიღეს. მეოცნებე დეპუტატი ვატო შაქარიშვილი ფიქრობს, რომ ნაციონალებმა სხვის ძალადობაზე არ უნდა ისაუბრონ, რადგანაც ისინი ძალადობრივი რეჟიმის შემოქმედები არიან.

შაქარიშვილმა ყოფილ ხელისუფლებას ახალი სახელიც შეურჩია. მისი თქმით, ნაციონალების ერთიანი სახელი არის მეგიზ ქარდავა.

— თუ არ გახსოვთ, გაგახსენებთ, ვინ იყო ძალადობრივი რეჟიმის შემქმნელი. თქვენ ბრძანდებოდით, ბატონებო და თქვენი პოლიტიკური ძალა იყო ძალადობრივი რეჟიმის შემოქმედი, ბატონო გოკა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებო. ის რეფორმები, რაც თქვენ ჩაატარეთ და გაიყავით ორ ნაწილად, საზოგადოებას შეცდომაში ვერ შეიყვანს. თქვენი ერთიანი სახელი არის მეგის ქარდავა. ძალიან გთხოვთ, ნუ გადაგვიყვანთ იმ მოედანზე, სადაც აპრიორი წაგებული ხართ, — მიმართა მან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ყოფილი ხელისუფლება რომ გაემწარებინა, ხაზგასმით უთხრა, რომ რაც არ უნდა იყვირონ, დედაქალაქის ახალ მთავრობას მხარს მაინც დაუჭერდნენ.

— ჩვენ აუცილებლად დავუჭერთ წარმოდგენილ დედაქალაქის მთავრობას მხარს, რადგან ეს ის შემადგენლობაა, რომელიც არის ადეკვატური და შესაფერისი ამბიციურ გეგმასთან, რის საფუძველზეც „ქართულმა ოცნებამ“ და კახა კალაძემ უდიდესი მხარდაჭერა მოიპოვა თბილისის მოსახლეობის მხრიდან.

სწორედ ამ პასუხისმგებლობით იმოქმედებს კახა კალაძეც. მაღალი ლეგიტიმაცია არის როგორც შესაძლებლობა, ასევე, პასუხისმგებლობა. ჩვენ აუცილებლად დავუჭერთ მხარს მათ შორის ნიკოლოზ ჭონქაძის კანდიდატურას, რადგან ჩვენ მხარს დავუჭერთ მის 22-წლიან გამოცდილებას უსაფრთხოების სფეროში საქმიანობის, — აღნიშნა შაქარიშვილმა.

ნაციონალების წასვლის შემდეგ თბილისის საკრებულო დამტკიცებების სერიას შეუდგა. მათ დედაქალაქის გამგებლობის კანდიდატებს კენჭი ცალ-ცალკე უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს.

ამიერიდან საბურთალოს რაიონს გაიოზ ვასაძე უხელმძღვანელებს, მთაწმინდას — დავით კირკიტაძე, კრწანისს — ლევან ჯაფარიძე, ვაკეს — ნოდარ ტურძელაძე, დიდუბეს — ირმა ზავრადაშვილი, ჩუღურეთს — ზურაბ ჩიკვილაძე, გლდანს — ბექა მიქაუტაძე, ნაძალადევს — ირაკლი ხელაძე, ისანს — კახა ლაბუჩიძე, ხოლო სამგორს — დავით კერესელიძე.

საკრებულოს თანხმობის შემდეგ, თბილისის მთავრობა ასე გადანაწილდა. კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური გივი კუბლაშვილმა ჩაიბარა, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულება — გელა ჩივიაშვილმა, ზედამხედველობის სამსახური — გიორგი ბაგრატიონმა. განათლებისა და სპორტის სამსახურს ირაკლი გვილავა უხელმძღვანელებს, საფინანსო სამსახურს — გაიოზ თალაკვაძე, იურიდიულ სამსახურს — სერგო ბირკაძე.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი იქნება, შესყიდვების სამსახურის — გიორგი პაპავა, უსაფრთხოების სამსახურის — ნიკოლოზ ჭონქაძე, ეკონომიკურ სამსახურის — ანდრია ბასილაია და კულტურის სამსახურის — სოფიო ხუნწარია.

მერიის ადმინისტრაცია ვლადიმერ ჭიღლაძეს ჩააბარეს. ის აქამდე ამავე სამსახურში მუშაობდა და ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე იყო.

საკრებულომ თბილისის მერის მოადგილეებიც დაამტკიცა. ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე გახდა. დანარჩენი მოადგილეების პოსტზე მაია ბითაძე, გიგა ნიკოლეიშვილი და ირაკლი ბენდელიანი დაამტკიცეს.

კალაძეს კიდევ ერთი მოადგილე ეყოლება. ილია ელოშვილი მოადგილეების გუნდს მას შემდეგ შეუერთდება, რაც ეკონომიკის სამინისტრო ენერგეტიკის სამინისტროს შეიერთებს.

# ლია მუხაშავრია: „ახალი სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილზე ნაკლები არ უნდა იყოს“

ნათია ხურცილავა

**ადამიანის უფლებათა დამცველი, იურისტი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ახალი სახალხო დამცველის შერჩევაზე საუბრობს.**



***— ქალბატონო ლია, სახალხო დამცველმა ციანიდის საქმეზე ანგარიში წარადგინა, სადაც ნანუაშვილი აცხადებს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებით დანაშაული არ მტკიცდება. ამას მოჰყვა განცხადებები, მათ შორის იუსტიციის მინისტრის, რომელმაც თქვა, რომ ნანუაშვილი ყველაზე უსამართლო სახალხო დამცველია. ხელისუფლების მხრიდან ეს გზავნილები ახალი ომბუდსმენის შერჩევის ფონზე რა გავლენას იქონიებს?***

— ძალიან საინტერესო ანალიზია ამ კითხვაში. უჩა ნანუაშვილის დასკვნა ციანიდის საქმეზე ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ხელისუფლების ასეთი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს შეუქმნიდა მოტივაციას, რომ მათთვის, მათი პოზიციისთვის სრულიად შეუფერებელი განცხადებები გაეკეთებინათ.

ამ განცხადებებმა მიბიძგა, მეფიქრა და დამესკვნა, რომ ციანიდის საქმე იყო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ეკლესიის წინააღმდეგ დაგეგმილი ოპერაცია. ეს რეაქციები, წმინდა ადამიანური გაბოროტების რეაქციები, პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ სახალხო დამცველი დგას პროფესიული ღირსების სადარაჯოზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ უჩა ნანუაშვილის დასკვნა ემყარება უტყუარ მტკიცებულებებსა და დასაბუთებას. ამიტომ სირცხვილია, როდესაც ასე აშკარაა, რომ „ქურდს ქუდი ეწვის“.

როგორც ჩანს, პრობლემა არა უჩა ნანუაშვილშია, არამედ იმაში, რომ ვინც არ უნდა იყოს, ვინც გაბედავს და დაუპირისპირდება სისტემას, მას ასე მოექცევიან. ეს საშიში ტენდენციაა, რადგან ნანუაშვილი არ არის მხოლოდ სახალხო დამცველი, ის არის საქართველოს ორგანული კანონით უფლებამოსილი, საკანონმდებლო გარანტიებით აღჭურვილი პირი. სახალხო დამცველის განცხადება არ არის მხოლოდ ერთი სუბიექტის, ერთი მოქალაქის, ერთი კვალიფიციური უფლებადამცველის განცხადება. ეს ბევრად მეტია.

***— პარალელურ რეჟიმში თვალყურს ვადევნებთ უჩა ნანუაშვილის შემცვლელის შერჩევის პროცესს. რამდენად ჯანსაღია ეს პროცესი?***

— ჩვენ მივეჩვიეთ, რომ სახალხო დამცველის შერჩევის პროცესი ძალიან ღიაა. ყველას აქვს უფლება, რომ თავისი კანდიდატი დაასახელოს, მიიღოს განხილვებში მონაწილეობა. იაქტიუროს მედიამ, როგორი აქტიურიც არის და ეს მე მომწონს.

***— უკვე დასახელდა კიდეც კანდიდატების ნაწილი.***

— დიახ. თუმცა, კანონი არ ცნობს ასეთ პროცედურას, მაგრამ ვინაიდან ჩვენ ერთხელ უკვე გავიარეთ ეს გზა და დემოკრატიული პროცედურა გამოვიყენეთ, არ ვაპირებთ უკან დავიხიოთ და უარი ვთქვათ მასზე.

***— რას ითვალისწინებს ეს გზა?***

— რომ საზოგადოებამ, ხალხმა თავად შეარჩიოს მისთვის მისაღები და სასურველი კანდიდატურა და წარუდგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად. ამიტომ საზოგადოებრივი ჯგუფები ახალ და ახალ კანდიდატებს ასახელებენ. ეს კარგია, ასეც უნდა იყოს. ბევრი კანდიდატურა უნდა დასახელდეს და საუკეთესო უნდა შეირჩეს.

თუმცა, ხელისუფლება აპირებს, კანონის პროცედურას ბუკვალურად მისდიოს, რაც უცილობლად იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ხელისუფლებას უნდა მისთვის ლოიალურად განწყობილი სახალხო დამცველის შერჩევა. ის საკონსტიტუციო ცვლილებებიც, რომლებიც გულისხმობს იმას, რომ ერთი პირი სახალხო დამცველის პოზიციაზე ორჯერ არ უნდა იყოს არჩეული, უკვე ღია დაპირისპირებას ნიშნავდა უჩა ნანუაშვილთან.

ეს იყო საკონსტიტუციო უმრავლესობის ვიწრო, მერკანტილური მიზნებისთვის გამოყენების მცდელობა. ეს არა მხოლოდ ნანუაშვილის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, არამედ მომავალი სახალხო დამცველის წინააღმდეგაც. ამიტომ საზოგადოება უფრო მეტად უნდა იყოს აქტიური.

***— არასამთავრობო სექტორში არაოფიციალურად განხილული კანდიდატები, ანა ნაცვლიშვილი, ზვიად ქორიძე, ვახუშტი მენაბდე რამდენად გაართმევენ ამ ვალდებულებას თავს?***

— მე ვფიქრობ, რომ უდავოდ კარგი კანდიდატების გვარები ისმის პრესაში, ასეთი ბევრი კანდიდატი გვყავს, რაც მისასალმებელია. ნამდვილად ღირსეული კანდიდატები არიან, მათ შორის, ქალბატონები.

***— მთავარი კრიტერიუმი რა უნდა იყოს?***

— დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი და მაღალი დონის პროფესიონალი უნდა იყოს სახალხო დამცველი. უჩა ნანუაშვილის შემდეგ სახალხო დამცველს მოეთხოვება, რომ მასზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუ ასე არ მოხდება და ხელისუფლება შეეცდება, საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ წავიდეს, მაშინ ეს კიდევ ერთი ლუსტრირება იქნება.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ საქართველოში, რომ სახალხო დამცველი მართლა იცავს ადამიანის უფლებებს. თუ ახალი სახალხო დამცველი თავის მოვალეობას არ შეასრულებს, მაშინ ამაზე ყველას ერთად ისეთი რეაქცია ექნება, რომ უმჯობესია, აქამდე საქმე არ მივიდეს.

***— ფიქრობთ, რომ ხელისუფლება მაინც ეცდება მისთვის ლოიალური კანდიდატურა შეარჩიოს ამ პოზიციაზე და ხალხის აზრის იგნორირება მოახდინოს?***

— როდესაც ხელისუფლებაში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოდიხარ, მაშინ, სამწუხაროდ, გემართება ის, რაც ნაციონალურ მოძრაობას დაემართა. ეს ძალიან სახიფათო პროცესია და ანადგურებს, პირველ რიგში, მათ, ვინც საკონსტიტუციო ბერკეტს საკუთარ თავზე ირგებს.

მე ვურჩევდი მათ, რომ უახლესი ისტორიის მწარე გამოცდილება გაითვალისწინონ და დაიოკონ ემოციები, მათ ჩვენ ქვეყნის მართვა საუკეთესო დემოკრატიული მეთოდებით ვანდეთ და არამც და არამც არადემოკრატიული მეთოდებით. ახალი სახალხო დამცველის შერჩევის ეს პროცესი შეიძლება გახდეს ქვაკუთხედი, როდესაც ამ ხელისუფლების ჭეშმარიტი სახე გამოვლინდება.

ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოსამართლის შერჩევის პროცესი როგორ ჩავარდა. ყველამ კარგად იცის, რას ნიშნავს პოლიტიკური აფილირება, რა არის ინტერესთა კონფლიქტი და რას ნიშნავს რეალურად დამოუკიდებელი კანდიდატი.

# მამუკა ტუსკაძე: „საპატრულო პოლიცია მდევნის“

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველ მამუკა ტუსკაძის განცხადებით, საპატრულო პოლიციისაგან დევნას განიცდის.**




— გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წლის 10 მაისს ჩემი უკანონო დაპატიმრება სტრასბურის სასამართლოში გავასაჩივრე, საქართველოს საპატრულო პოლიცია მდევნის, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ მამუკა ტუსკაძე.

***— ბატონო მამუკა, პოლიცია თქვენ რატომ უნდა გდევნიდეთ?***

— როგორც ჩანს, პოლიციისთვის ცნობილი გახდა, რომ ჩემი ერთდღიანი უკანონო პატიმრობა სტრასბურში გავასაჩივრე და დევნა დამიწყეს. სასამართლომაც დაადასტურა, რომ უკანონოდ ვიყავი დაპატიმრებული წაყენებულ ბრალდებაში. გამამართლა. მოგეხსენებათ, პოლიციამ ბრალი დამდო საპატრულო პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და წვრილმან ხულიგნობაში, რაც თითქოსდა აქციაზე მე ჩავიდინე. გადავწყვიტე, თუნდაც ის ერთდღიანი უკანონო პატიმრობა სტრასბურის სასამართლოში გამესაჩივრებინა და მემცნო მათთვის, თუ რაოდენ დიდი უსამართლობა ხდება საქართველოს შს სამინისტროს სისტემაში, კერძოდ, საპატრულო პოლიციაში. ამას ემატება უამრავი ფაქტი, რომელიც როგორც უფლებადამცველს მაქვს, თუ როგორ სცემენ, უდებენ ნარკოტიკებს და სხვადასხვა სახის დანაშაულს უკერავენ ადამიანებს ძალოვანი სტრუქტურები, მათ შორის, საპატრულო პოლიციაც.

როგორც ჩანს, საპატრულო პოლიციისთვის ცნობილი გახდა, რომ მე უკანონო პატიმრობა გავასაჩივრე სტრასბურში. აშკარად ვგრძნობ, რომ საპატრულო პოლიცია ჩემს დევნას ახორციელებს.

***— სტრასბურის სასამართლო საჩივრის შესახებ საქართველოს მთავრობას აცნობებდა. საპატრულოს მხრიდან დევნა რაში გამოიხატა?***

— უკანონო, დაუსაბუთებელ ჯარიმებში ავტომანქანის მართვასთან დაკავშირებით. თუნდაც ბოლო ფაქტი რად ღირს, როდესაც სამსახურიდან გამოვდივარ და 30 მანქანის მწკრივიდან მხოლოდ ჩემი მანქანაა ამოღებული. მტკიცებულებებიც მაქვს. ადრე მქონდა მანქანის დაყენებაზე საუბარი საპატრულო პოლიციის წარმომადგენელთან. თბილისის საკრებულოსთან მეყენა მანქანა. იქ, სადაც მანქანას ყოველთვის ვაყენებ. მოვიდა პატრული ღვინიანიძე და მითხრა, არასწორად გიყენია, აქედან გაიყვანეო. ღვინიანიძეს ჰქონდა დავალებული, რომ ჩემთვის მანქანა არ დაეყენებინა. პატრულის უკანონო მოთხოვნას დავემორჩილე და გადავიყვანე სხვაგან, სადაც მწკრივში დაახლოებით 20 მანქანა დგას.

***— გითხრა, სად უნდა დაგეყენებინა?***

— არა. მე გადავიყვანე. ჩემს პროვოცირებას ცდილობდა. ალბათ, ჩანაწერი ექნება.

***— როგორ ცდილობდა თქვენს პროვოცირებას?***

— შეურაცხყოფაზე გადმოდიოდა. თქვა, რომ თითქოს მას პატივს არ ვცემდი. ეს მითხრა შეურაცხმყოფელი გამონათქვამით. პატრული ღვინიანიძე უწმაწური სიტყვებით ჩემს პროვოცირებას ცდილობდა. მისი საპატრულო მანქანის ნომერიც მაქვს, მთაწმინდის საპატრულო პოლიციის მანქანაა. ღვინიანიძემ გამომიწერა ოქმი. მე გამაჩნია მტკიცებულებები და გავასაჩივრებ.

***— კონკრეტულად, რა მტკიცებულებები გაგაჩნიათ?***

— გამაჩნია მტკიცებულებები, თუ როგორ არის ამოღებული ჩემი მანქანა 20 მანქანის მწკრივიდან. პრინციპულად ჩემ მიმართ განხორციელდა დევნა. მინდა მოვუწოდო საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელობას, შეეშვან ჩემს დევნას. სჯობს საქართველოს მოქალაქეებს მოემსახურონ და საქმე აკეთონ, ვიდრე ერთ უფლებადამცველს სდევნიდნენ იმისათვის, რომ ის სამართლიანობისა და სიმართლისთვის იბრძვის.

***— სტრასბურის სასამართლოსაგან რას ითხოვთ?***

— ჩემი უკანონო დაკავებისთვის სტრასბურის სასამართლოსაგან კომპენსაციას ვითხოვ.

***— კომპენსაციას რამდენს ითხოვთ?***

— სტრასბურის სასამართლოსაგან სიმბოლურად ვითხოვ მხოლოდ 1000 ლარს. ეს დაახლოებით იმდენია. რამდენი ჯარიმაც უნდა გადამეხადა.

***— პატრულმა რამდენი ჯარიმა დაგიწერათ?***

— ნებისმიერ ადგილზე, სადაც მანქანას შევაჩერებ, ჯარიმას მიწერენ. შეყოვნებაზე დამიწერეს 20 ლარი, 10 ლარი.

***— ამოღებული მანქანა საპატრულო პოლიციაში წაიღეს?***

— 112-ში, საჯარიმო ავტოსადგომზე. იქ 80 ლარი გადავიხადე, მანქანა რომ წამომეყვანა. ამას დაემატა 10 ლარი ჯარიმა. სულ 90 ლარი შეადგინა.

***— მანქანა 112-ში წაყვანას ექვემდებარებოდა?***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# იან კელი: „ოკუპანტის გავლებულ საზღვრებს არ ვცნობთ

შორენა მარსაგიშვილი

**რუსეთთან შენახვედრმა ანატოლი ბიბილოვმა მორიგი სიურპრიზი შემოგვთავაზა. ოკუპირებული სამხრეთ ოსეთი დანარჩენ საქართველოსთან საზღვრის აღჭურვას იწყებს. ცოტა ხნით ადრე იმავე ბიბილოვმა საქართველოსთან საბაჟო-საკონტროლო გამშვები პუნქტის ამოქმედება მოითხოვა.**



საზღვრის აღჭურვის იდეა, ეტყობა, მას მოსკოვში შთააგონეს, სადაც რამდენიმე დღე გაატარა და იქიდან დაბრუნებულმა საგანგებო ბრიფინგი გამართა.

ბიბილოვი წინასწარ გრძნობდა, რომ მისი ახალი იდეა თბილისს შეაშფოთებდა. ამიტომაც „დასამშვიდებლად“ გვითხრა, ასეთი რამ ნორმალურიაო.

— რესპუბლიკის უსაფრთხოებისთვის, საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის მთლიანად აღჭურვაა აუცილებელი.

ქართული მხარისთვის საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. არავინ გამოთქვამს უკმაყოფილებას, რომ ამერიკასა და მექსიკას შორის ღობეები შენდება, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოებს შორის. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს საზღვრებს საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული დაცვით, — აღნიშნა პუტინმონახულებულმა ბიბილოვმა.

ქართველ პოლიტიკოსებზე ადრე ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ლიდერის განცხადებას საქართველოში აშშ-ის ელჩი გამოეხმაურა.

დიპლომატის თქმით, ის ოკუპანტების მიერ შექმნილ საზღვრებს არ ცნობს. მისივე განმარტებით, ხალხებს შორის ხელოვნური ბარიერების შექმნა უკანონოა.

— ჩვენ არ ვცნობთ იმ საზღვრებს, რაზეც საუბრობს ბატონი ბიბილოვი. ეს არ არის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი. შესაბამისად, ხელოვნური ბარიერების შექმნა ხალხს შორის არის არალეგიტიმური და არაკანონიერი ქმედება. ეს არის ნაბიჯი არასწორი მიმართულებით, — განაცხადა კელიმ.

ბიბილოვის განცხადებების პარალელურად ცნობილი გახდა, რომ კოდა-ჭვრინისის სეგმენტზე რუსებმა უკანონო ბარიერები აღმართეს. ეს პროცესი ოქტომბერში დაწყებულა.

რუსებს ეს ქმედება საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა დაგმო.

მისი თქმით, საქართველოს მთავარი პრობლემა რუსეთია, რომელიც დესტრუქციულ ქმედებებს არ ეშვება.

— საქართველოს მთავარი პრობლემა და გამოწვევა არის რუსეთი და მისი დესტრუქციული ქმედებები, რომლებსაც მოსკოვი არ წყვეტს და სხვადასხვა ტემპით და ინტენსივობით აგრძელებს. ყველამ კარგად ვიცით, პასუხი ამაზე რა შეიძლება იყოს და ჩვენნაირი ქვეყანა როგორ უნდა მოიქცეს.

ეს არის მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების გააქტიურების მხრივ მუშაობა, სხვა იარაღი ჩვენს ქვეყანას არ აქვს. რუსეთი რჩება ისეთივე დესტრუქციულ ქვეყნად, როგორიც აქამდე იყო, — განაცხადა ჩუგოშვილმა.

# სოხუმში ოპოზიციური ბლოკი გენპროკურორის გადაყენებას მოითხოვს

## ახალმა შს მინისტრმა დეპუტატებს დამნაშავეობასთან ბრძოლის გეგმა გააცნო

მარიამ მჭედლიშვილი

**– გენიალური პროკურორი არ რეაგირებს ჩინოსნების უკანონო ქმედებებზე. ზურაბ აჩბა არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას, – აცხადებენ ოკუპირებული აფხაზეთის ოპოზიციური ძალთა ბლოკის წარმომადგენლები.**

„ახალი თაობა“ წერდა, რომ რუსეთის საანგარიშო პალატისა და აფხაზეთის კონტროლის პალატის მონაცემებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხები არამიზნობრივად დაიხარჯა, მაგრამ ამის გამო არ დგება დამნაშავეების პასუხისმგებლობის საკითხი.

ოპონენტების შეფასებით, გენპროკურორი არც თანხების არამიზნობრივად ხარჯვას ეხმაურება და არც რეზონანსული საქმეების გახსნაზე ზრუნავს.

ამ თემაზე განსაკუთრებულად აქტიურობენ ამცახარას თავმჯდომარე ალხას კვიცინია და მოძრაობა „ქალები პოლიტიკაში“ ლიდერი ირინა აგრბა. ისინი იმ გენპროკურორს დაუპირისპირდნენ, რომლის კანდიდატურა თავად წამოაყენეს.

ეს ოპოზიცია დაახლოებით ერთი წლის წინ ხაჯიმბას რეჟიმის კრიტიკით ქუჩაში გამოვიდა. საბოლოოდ, საქმე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტაბილურობის შეთანხმების გაფორმებით დასრულდა.

ამ გარიგების თანახმად, ოპოზიციამ წამოაყენა თავისი წარმომადგენელი გენპროკურორის პოსტზე, ოპოზიციონერები შევიდნენ საკონსტიტუციო სასამართლოსა და ცესკოს შემადგენლობაში.

ზურაბ აჩბა თავისი მოვალეობის შესრულებას იანვრიდან შეუდგა. დღემდე ოპოზიციას მასთან პრეტენზიები არ ჰქონია.

გაზრდილი დამნაშავეობის, გაუხსნელი მძიმე დანაშაულებისა და კორუფციის გამო აქამდე პასუხს შინაგან საქმეთა მინისტრებს სთხოვდნენ.

ოქტომბრიდან ოკუპირებულ აფხაზეთს მორიგი ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი, ჰარი არშბა, ჰყავს. 14 ნოემბერს იგი, დეპუტატების მოთხოვნით, მათ პარლამენტში შეხვდა და კრიმინოგენული სიტუაცია და დამნაშავეობასთან ბრძოლის გეგმა გააცნო.

ექსპერტების აზრით, აფხაზეთის დღევანდელი ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი საპრეზიდენტო არჩევნებამდე მისვლაა. არჩევნები 2019 წელს გაიმართება. ანალიტიკოსების შეფასებით, ხაჯიმბასთვის მთავარია არა კრიმინალის დამარცხება, არამედ მყიფე სტაბილურობის შენარჩუნება. ამ სიტუაციაში შინაგან საქმეთა მინისტრს, სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, რადიკალურ ზომებს არ გაატარებინებენ.

სტაბილურობასა და სიმშვიდის შენარჩუნების აუცილებლობაზე ბოლო დროს აქცენტს აკეთებს ხაჯიმბას ერთ-ერთი მთავარი ოპონენტი, ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი, რომელიც ამჟამად რიგითი დეპუტატია.

გავრცელებული ინფორმაციით, ანქვაბი დახურულ კარს მიღმა საიდუმლოდ ხაჯიმბას შეხვდა და მათ შორის გარიგება შედგა.

ეს ინფორმაცია რომ უსაფუძვლო არ არის, ამას ანქვაბის ინტერვიუც ადასტურებს:

– 2019 წლამდე უნდა მივიდეთ ისე, რომ სრულად გავაცნობიეროთ რეალობები და პერსპექტივები, რომლებიც გველის. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ახლო წარსულში მძიმე განსაცდელები და ძვრები გადაიტანა. ეს იყო ომი, მძიმე ომისშემდგომი დრო, საზოგადოების გახლეჩა და 2014 წლის მაისის სახელმწიფო გადატრიალება.



### ანქვაბის მოულოდნელი ნაბიჯი

ანქვაბი აცხადებს, რომ საზოგადოებამ აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისები და ვითარების დაძაბვა აღარ უნდა დაუშვას. ამისთვის მიზანშეწონილია შეთანხმება პრეზიდენტობის საერთო კანდიდატზე. მან დააზუსტა, რომ კონსენსუსი უნდა შედგეს არა მხოლოდ ოპოზიციის შიგნით, არამედ ოპოზიციასა და პროსახელისუფლებო ძალებს შორის.

ანქვაბი ამბობს, რომ მზადაა, საკუთარი გამოცდილება ამ პროცესებს მოახმაროს. მაგალითად, იგი შეძლებს, უხელმძღვანელოს პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო შტაბს.

როგორც ჩანს, ანქვაბის ახალ მიდგომებს არ იზიარებს ოპოზიციურ ძალთა ბლოკი. მისი წარმომადგენლები რადიკალური მოთხოვნებით გამოდიან და იმასაც აცხადებენ, რომ გამოვიდნენ იმ სტაბილურობის შეთანხმებიდან, რომელიც ხელისუფლებასთან გააფორმეს.

# მამუკა ტუსკაძე: „საპატრულო პოლიცია მდევნის“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– არა. იქ დგომა-გაჩერება აკრძალულიც რომ ყოფილიყო, ასეთ შემთხვევაში 10- ლარიანი ჯარიმა საკმარისი იყო, მძღოლი გაფრთხილდებოდა და სხვა ადგილზე გადაიყვანდა.

***– თქვენ არ გაუფრთხილებიხართ?***

– არა. რამდენიმე წუთით ადრე შევკამათდით. როგორც გითხარით, ის ჩემს პროვოცირებას ცდილობდა უწმაწური სიტყვებით, თითქოსდა მე მას უწმაწური სიტყვებით შეურაცხყოფა მივაყენე და მეუბნებოდა, იქიდან დროულად გამეყვანა მანქანა. შეურაცხყოფის მიყენებად ითვლებოდა ის, სადაც მანქანა მეყენა. იმედი მაქვს, ჩვენ შორის საუბარს ის კამერით იწერდა. პატრული ისე იქცეოდა, თითქოს კაცის მკვლელთან ჰქონდა საქმე. ზუსტად ანალოგიური დგომა-გაჩერებისთვის არაერთხელ დამაჯარიმეს სხვადასხვა ადგილზე. ქალაქში რომ ვმოძრაობ, უკვე იმის ფიქრში ვარ, საპატრულო პოლიცია სად დამიგებს მახეს. ეს ყველაფერი ხდება იმის გამო, რომ ჩემი უკანონო პატიმრობა სტრასბურში გავასაჩივრე. პატიმრობა დაკავშირებული იყო საპატრულო პოლიციის მოქმედებასთან.

***– ანუ საპატრულო პოლიციამ დამარცხება ვერ მოინელა?***

– დიახ. გადასული არიან რიგითი მოქალაქეების ცემაზე, ნარკოტიკების ჩადებებზე.

***– ცემისა და ნარკოტიკების ჩადების ფაქტები არსებობს?***

– დიახ, მსგავსი ფაქტები არსებობს. ასეთი ფაქტები მომრავლდა.

***– შეიძლება ყველაფერი შუქდება და ფაქტები იმიტომ მომრავლდა.***

– არა. ფაქტები მომრავლდა. მღებრიშვილი პოლიციას ვერ მართავდა. აწი რა მოხდება, არ ვიცი. იმედია, ახალი მინისტრი სხვანაირად იმოქმედებს.

***– მღებრიშვილი პოლიციას ვერ მართავდა თუ პოლიციის მუნდირს პატივს სცემდა?***

– მღებრიშვილი პოლიციას ვერ მართავდა, მღებრიშვილი ნარცისიზმით იყო დაკავებული.

***– როგორ?***

– მღებრიშვილი ნარცისია. მას პოლიციისთვის არ ეცალა.

***– ბოლო დაჯარიმებას, რომელმაც 90 ლარი შეადგინა, ასაჩივრებთ?***

– დიახ, ჯერ შს სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოში გავასაჩივრებ. ჩემნაირი აქტიური მოქალაქე უკვე აღარ მოსწონთ და რბილი დიქტატურიდან გადავდივართ მკაცრ დიქტატურაზე.

***– წინა სისხლის სამართლის საქმეზე, რაზეც სააკაშვილის უკანონო პატიმრად ხართ აღიარებული, საჩივარი გაქვთ შეტანილი?***

– წინა საქმეზე საქართველოს მთავარი პროკურატურის სპეციალურ დეპარტამენტში მაქვს შეტანილი დიდი ხანია და ველოდები საქმის ხელახალ გამოძიებას.

# სერგო რატიანი: „ვანოს შოუში“ ბიძინა ივანიშვილს ექნება გაცილებით მაღალი ყურებადობა, ვიდრე ეს ექნება თქვენს არხებზე“



პარლამენტში დეპუტატები საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს ურთიერთბრალდებების ფონზე განიხილავდნენ.

ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრმა სერგო რატიანმა პარლამენტის სხდომაზე უმრავლესობის წევრებს მიმართა:

– ყოველთვის, „ვანოს შოუში“ ბიძინა ივანიშვილი იქნება გაცილებით პოპულარული და მას ექნება გაცილებით მაღალი ყურებადობა, ვიდრე ეს ექნება თქვენს არხებზე... შანსი იმისა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს ჰქონოდა მეტი ნდობა, თქვენ გაუშვით. საზოგადოებრივ მაუწყებელს იმხელა თანხას აძლევთ, რომ ფაქტობრივად ყველა დანარჩენი ტელევიზიები ერთად ვერ იღებდნენ ამას რეკლამიდან. „რუსთავი 2“-ის მიმართ რაები გააკეთეთ, ყველასთვის ცნობილია. ყოველთვის, ვანოს შოუში“ ბიძინა ივანიშვილი იქნება გაცილებით პოპულარული და მას ექნება გაცილებით მაღალი ყურებადობა, ვიდრე ეს ექნება თქვენს არხებზე. ეს არის მარტივი. იმიტომ, რომ იქ გინდათ შეალამაზოთ სინამდვილე, რომლის

განცხადება გააკეთა ფრაქცია „ქართული ოცნება – მწვანეების“ თავმჯდომარე გიორგი გაჩეჩილაძემ. მან წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართა და აღნიშნა, რომ დღეს მედია, წინა წლებთან შედარებით, ბევრად თავისუფალია.

– 2003 წელს, როდესაც შევარდნაძემ დაამთავრა თავისი მოღვაწეობა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით საქართველო იყო მედიათავისუფლებით 73-ე ადგილზე, თქვენ რომ დაამთავრეთ მოღვაწეობა, 104-ე ადგილზე იყავით და უზბეკეთის დონეზე იყო საქართველო. რაზე ლაპარაკობთ, რა მედიაზე ლაპარაკობთ, დღეს 2017 წელს ყველაზე კარგი მონაცემები გვაქვს რეგიონში და 64-ე ადგილზე ვართ, – განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

# ნუგზარ ჭონქაძე: „არც ფაშისტი ვარ და არც ჰომოფობი, რაში მდებთ ბრალს?!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– მე ვარ ამაყი იმით, რომ დღეს საღმა აზრმა გაიმარჯვა და ის ბრალდებები, რაც ჩემ მიმართ იყო წაყენებული, არ გაიზიარა საზოგადოებამ. ეს იყო ფარსი და ტყუილი, ჩემი შეურაცხყოფა. სამი დღის განმავლობაში მე ვითმენდი ამ შეურაცხყოფებს, ვითმენდი მათ შორის, ამ დარბაზშიც და აქედან გამოირიცხება, რომ მე ვარ აგრესიული ჩემს ცხოვრებაში. ბრალდებებს მიყენებდნენ ადამიანები, რომლებიც არ მიცნობდნენ, წარმოდგენა არ აქვთ ჩემს პიროვნებაზე, არ იციან ჩემი ცხოვრების სტილი, წესი და ურთიერთობა არ ჰქონიათ პირადად. ისინი ამ ბრალდებებს მხოლოდ თავისი ფანტაზიით და მხატვრული გაფორმებით აკეთებდნენ თავიანთი პოლიტიკური მიზნების გამო.

ამ შეურაცხყოფებს ისმენდნენ ჩემი ოჯახის წევრები, მეგობრები და ეს ხდებოდა არა პრივატულ სივრცეში, არამედ საჯაროდ. ამას მე არ ვიზიარებ. უარვყოფ, რომ ვარ ჰომოფობი, ფაშისტი, მოძალადე, ვერც ერთ ფაქტს ვერავინ მომიყვანს, რომ მე ვინმეზე ვიძალადე ჩემი ცხოვრების მანძილზე, ან ფიზიკური შეურაცხყოფა მიმეყენებინოს ვინმესთვის. აქედან გამომდინარე, ეს არის ტყუილი ბრალდებები. ამ ადამიანებმა ისეთი განცხადებები გააკეთეს პიროვნებაზე, რომელსაც არ იცნობენ. მე მათ ათი ნაბიჯით გავუსწარი, არ ვარ მათი დონის ადამიანი და არ ავყვები, – განაცხადა ნუგზარ ჭონქაძემ.

რაც შეეხება ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენელთა განცხადებებს, რომ ნუგზარ ჭონქაძე სოციალურ ქსელებში „სულიკო კედელაშვილის“ სახელით და გვარით იყო რეგისტრირებული და ის ჰომოფობიური, ძალადობრივი განცხადებებით გამოირჩეოდა, ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთებისას ნუგზარ ჭონქაძემ კონკრეტული მაგალითების დასახელება მოითხოვა, თუ რაში სდებდნენ მას ბრალს.

– ჩემს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით არსებობს კითხვები?! რაში მდებთ ბრალს, მე ამ ქალაქის სამსახურში მოვდივარ ჩემი საქმის საკეთებლად და მოხარული ვარ, რომ უნდა ვემსახურო ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალს, – განაცხადა ნუგზარ ჭონქაძემ.

## კვებით უზრუნველყოფის მომსახურების პროვაიდერთა მოწვევა

BP Exploration (Caspian Sea) Ltd - საქართველო იწვევს შესაფერის კომპანიებს ინტერესის გამოსახატად BP-ის თბილისის ოფისის კვებით უზრუნველყოფის მომსახურების გაწევაში. ქვემოთ მოცემულია ფასების შეთავაზების ელემენტების ზოგადი მიმოხილვა:

- კვებით უზრუნველყოფა – ცხელი ლანჩი (200-250 პორცია დღეში) და შეფუთული ლანჩი (10-15 პორცია დღეში, საღამოობით)
- წყლის მოწოდების უზრუნველყოფა
- მესამე მხარეებისგან შესყიდვა, მაგ. დანა-ჩანგლის, თეფშების და სამზარეულო ტექნიკისა, ოფისის სასადილოსთვის
- სასმელის პუნქტებით უზრუნველყოფა დაახლოებით 250 თანამშრომელზე, ჩაის ჩამომსხმელი ქალბატონების მიერ მომსახურების გაწევის ჩათვლით
- BP-ის ოფისისთვის საკვები უნდა მომზადდეს ფასის წარმდგენის შენობაში და მოხდეს ტრანსპორტირება იზოლირებული სატრანსპორტო საშუალებით, ჰიგიენის წესების და შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოგვაწოდონ საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი შემდეგ ელ-ფოსტაზე: lomam0@bp.com ან კომპანიის ოფისში მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის 24, მაკა ლომაძეს, PSCM კატეგორიის სპეციალისტს.

წარდგენის ვადა: 2017 წლის 1 დეკემბერი.

# დავით მირცხულავა: „ენერგეტიკაში ინვესტიციები შემცირდება“



– ყველაზე დიდი პრობლემა, გნებავთ გამოწვევა დღეს ქართულ ენერგეტიკაში არის დარგში საინვესტიციო კლიმატი.

ამის შესახებ საკუთარ ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა წერს.

მირცხულავა აღნიშნავს, რომ საინვესტიციო პროცესი არის ერთ-ერთი იმ სამი ფუნდამენტური ამოცანიდან, რომლებიც ენერგეტიკაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არსებობდა და არსებობს.

– ყველაზე დიდი პრობლემა, გნებავთ გამოწვევა დღეს ქართულ ენერგეტიკაში არის დარგში საინვესტიციო კლიმატი. ზოგადადაც ჩემი აზრით საინვესტიციო პროცესი არის ერთ ერთი იმ სამი ფუნდამენტალური ამოცანიდან, რომელიც ჩვენ ენერგეტიკაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არსებობდა და არსებობს. ჩემი აზრით, პირველი ორი: ესაა ენერგეტიკაში სტრუქტურული რეფორმები და ელექტროენერგეტიკული (ბუნებრივი გაზის) ბაზრის ჩამოყალიბება, ხოლო მესამე დარგში საინვესტიციო პროცესია.

გადახედეთ ბოლო წლებში ელექტროენერგიის იმპორტის მუდმივ მატებას და აშკარა გახდება ამ პროცესის მდგრადი სისტემური ხასიათი.

წელს ელექტროენერგიის იმპორტი ალბათ 1,5 მილიარდ კილოვატ/საათს მიაღწევს და ადვილად იანგარიშებთ იმ ათეულ მილიონობით დოლარს, რომელიც ქვეყნიდან გადის. დაუმატეთ ამ რიცხვს ასობით მილიონ დოლარზე მეტი, რაც ბუნებრივი გაზის იმპორტისთვის გადის ქვეყნიდან და აშკარაა თუ რა მასშტაბებით ვართ დამოკიდებული მეზობელ ქვეყნებზე (ნავთობპროდუქტების იმპორტზე აქ არაფერს ვიტყვი).

აქედან გამომდინარე, საკუთარი გენერაციის განვითარება ჩვენი ენერგეტიკისათვის, ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა. ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მისასალმებელია 2012 წლიდან დღემდე აშენებული ყველა გენერაციის ობიექტი (ჰესები, თბოელექტროსადგური, ქარის ელექტროსადგური), მაგრამ არც მათი რაოდენობა, არც გენერაციის განვითარების ტემპები და არც, რაც მთავარია, მათი ტიპი (ჰესებს ეხება) ჰიდროგენერაციის სეზონურობის გათვალისწინებით, ჩემი აზრით, ალბათ არ შეესაბამება გენერაციის ობიექტების ჩვენი ქვეყნისათვის ოპტიმალურ განვითარების გეგმას (2008 წელს სერბულ-იტალიურმა ჯგუფმა წარმოადგინა ამგვარი სამუშაო).

სამწუხაროდ, წესითა და რიგით, მთავრობისათვის ძირითადი სამოქმედო დოკუმენტი გენერაციის ობიექტების განვითარების ოპტიმალური სამოქმედო გეგმა – ენერგოსისტემაში მიერთების თანმიმდევრობის, პრიორიტეტულობის, ტექნიკური, ეკონომიკური და ეკოლოგიური მრავალრიცხოვანი პარამეტრების გათვალისწინებით, განსხვავებით უამრავი ქვეყნისაგან, ჩვენ არ გაგვაჩნია. ასეთი გეგმის არარსებობა ძალიან დიდი პრობლემაა.

ახლა მთავარ ზემოთაღნიშნულ პრობლემაზე – საინვესტიციო კლიმატზე ენერგეტიკაში.

დაგეგმილი რეფორმა ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის პირობის გაუქმება (2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილების საფუძველზე) აშკარად გააუარესებს საინვესტიციო პროცესს და, პირდაპირ ვიტყვი, კატასტროფულად შემცირდება ადრე გაფორმებულ მემორანდუმებით პროექტების განხორციელების შემდეგ (ესეც პრობლემურია???) დარგში პირდაპირი ინვესტიციები, ახალი გენერაციის ობიექტებისათვის განვითარებისათვის.

მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში განახლებადი ენერგიის წყაროების (ჰიდროსადგურები და ჰიდროენერგია განახლებადი ენერგიის წყაროა) განვითარება დაკავშირებული იყო გარანტირებულ სატარიფო სტიმულირების მექანიზმის დანერგვასთან. ამდაგვარი მხარდაჭერის ათწლეულებით დაგროვილი გამოცდილება გვხვდება მთელ რიგ ქვეყნებში.

ფიქსირებული გადასახადი, რომელსაც უხდიან განახლებადი ენერგიის ამთვისებელს, ინვესტორს, როგორც გამომუშავებული ენერგიის საფასურს, იყო ყველაზე დაფასებული მექანიზმი ინვესტორების მხრიდან და ასეთი მექანიზმი, მათი აზრით, მაქსიმალურად ამცირებდა საინვესტიცო რისკებს.

ევროპაში განახლებადი ენერგიის ათვისებისათვის მხარდამჭერ ამ მექანიზმს იყენებდნენ გერმანიაში, დანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში.

ელექტროენერგიის ფასზე ფიქსირებული დანამატების სისტემა გამოყენებულ იქნა აშშ-ში, კანადაში. ევროპის და ამერიკის ქვეყნებში. დამატებითი ხარჯები, დაკავშირებული განახლებადი ენერგიის რესურსის ათვისებასთან, იფარებოდა ყველა ტიპის მომხმარებლის მიერ.

მსოფლიოში გენერაციის პროექტების მხარდაჭერაზე შეიძლება უამრავი საუბარი, მაგრამ ფაქტია, რომ ზემოთ აღნიშნული და სხვა ცნობილი მხარდამჭერი მექანიზმების გამოყენების გარეშე, რასაც სამწუხაროდ ჩვენთან აპირებენ, შეუძლებელია გენერაციის განვითარებაზე და შესაბამის საინვესტიციო კლიმატზე საუბარი.

ამ საკითხზე დისკუსიის დაწყება აუცილებელია, რისკი ძალიან დიდია, – წერს დავით მირცხულავა ფეისბუქში.

# პურზე ფასი არ გაიზრდება



ლარის გაუფასურების მიუხედავად, პურის ქარხნები ფასების შენარჩუნებას ახერხებენ. პურპროდუქტების მწარმოებელი კომპანია „იფქლის“ დირექტორი არისი ბოჭოიძე აცხადებს, რომ, ლარის მკვეთრი გაუფასურების მიუხედავად, კომპანია „იფქლი“, დღეის მდგომარეობით, პურის ყველა სახეობაზე არსებულ ფასს ინარჩუნებს.

მისი განცხადებით, შექმნილი მწვავე სიტუაცია პურპროდუქტების მწარმოებელ კომპანიაზე მნიშვნელოვნად აისახება, რადგან ქვეყანაში პური იმპორტირებული ფქვილითა და ნედლეულით ცხვება.

მისი განმარტებით, დოლარის გამყარებასთან ერთად როგორც ფქვილის, ისე სხვა ნედლეულის მომწოდებლები ფასს შესაბამისად ზრდიან პროდუქციაზე, „იფქლი“ კი პურის ფასს სწორედ ამ ნედლეულზე დაყრდნობით საზღვრავს.

– ამას გარდა, მწარმოებლებს ფასი გვეზრდება სხვა ისეთ მასალებზეც, როგორებიცაა, მაგალითად, პროდუქციის შესაფუთი ქაღალდები და სხვა. ლარის კურსის გაუფასურების გამო უახლოესი მომავლისთვის პროგნოზების გაკეთება ძალიან გვიჭირს. ჩვენ ბუნებრივია გვაქვს ფქვილის გარკვეული მარაგები, თუმცა „იფქლში“ ფქვილს ყოველდღიურად ძალიან დიდი ოდენობით მოვიხმართ, რაც საშუალებას გვაძლევს, მხოლოდ რამდენიმე კვირის სამყოფი მარაგი გვქონდეს.

ვიმედოვნებთ, რომ ლარი დოლართან მიმართებით უახლოეს მომავალში შეძლებს გამყარებას. ანალოგიური სიტუაცია გასულ წლებშიც ზუსტად ამ პერიოდებში გვქონდა, თუმცა იმ შემთხვევებში ლარმა შეძლო მეტნაკლებად დასტაბილურება, – განმარტავს არისი ბოჭოიძე.

ლარის გაუფასურების მიუხედავად, ამ ეტაპზე ფასების შენარჩუნებას ახერხებენ პურის სხვა ქარხნებიც.

„პურპროდუქტების ასოციაციის“ ხელმძღვანელი მალხაზ დოლიძე განმარტავს, რომ თუ პურის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილების ფასი გაიზარდა, ეს იმოქმედებს პურის ფასზეც, თუმცა დღეს ფასები არ გაზრდილა.

მისი თქმით, ბოლო მონაცემებით, ხორბლის ფასები რუსეთში შემცირებულია, საქართველოში კი 1 ტომარა ფქვილი 34-35 ლარია. დოლიძის ინფორმაციით, ფქვილის ფასი 45 ლარამდეც გაზრდილა, თუმცა, მწარმოებლებს პურის ფასი მაშინაც არ გაუზრდიათ.

დოლიძის განცხადებით, დღეს ბაზარზე საკმაოდ დიდი კონკურენციაა, რაც ფასების დაბალანსების საშუალებას იძლევა.

წისქვილკომბინატთა ასოციაციის ხელმძღვანელ ლევან სილაგავას განცხადებით კი 1 ტომარა ფასი 34-38 ლარის ფარგლებში მერყეობს, რაც ისეთი ნიშნულია, რომ პურზე ფასის ზრდას ამ დროისთვის არ გამოიწვევს. მისი თქმით, წლის განმავლობაში პურის მწარმოებლები ფასს, სავარაუდოდ, არ გაზრდიან.

– ლარის გაუფასურების პირობებში პური ალბათ ერთადერთი პროდუქტია, რომელზეც ფასი სტაბილურადაა შენარჩუნებული, – აცხადებს სილაგავა.

# რატომ დაიკლო სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგებამ?

სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება შემცირდა. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალური სტატისტიკით, 16 სადაზღვევო სექტორის ჯამურმა მოგებამ 9 თვეში 13.5 მლნ ლარი შეადგინა, 1.7-ჯერ ნაკლები, ვიდრე შარშან (22.98 მლნ). აღსანიშნავია ისიც, რომ სექტორის წმინდა მოგების შემცირებამ ბოლო პერიოდში ტენდენციის სახე მიიღო.

ამავე სტატისტიკის მიხედვით,




გაზრდილია მოზიდული პრემიის მოცულობა. კერძოდ, 2017 წლის 3 კვარტალში სადაზღვევო კომპანიებმა მოიზიდეს 345,72 მლნ ლარის პრემია, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი იყო 316,3 მლნ ლარი. ეს იმას ნიშნავს, რომ სადაზღვევო ბიზნესს ხარჯი გაეზარდა.

როგორც სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, ზოგადად ინდუსტრიის წმინდა მოგების შემცირება კი არა, ცალკეული ბიზნესის მაჩვენებლები უფრო საინტერესოა.

– სექტორმა მოგება ნახა თუ წაგება, ეს კომპანიების ერთმანეთთან შედარებით უნდა გავარკვიოთ. ანუ იმ კუთხით უნდა განვიხილოთ, ზოგადად ბიზნესი მომგებიანია თუ არა. ერთი კომპანიისთვის ბიზნესი შეიძლება წამგებიანი იყოს, მეორესთვის მომგებიანი. კომპანიებს, რომელსაც ჯანმრთელობის ან ფინანსური რისკების დაზღვევის ნაკლები წილი აქვთ, მათი მდგომარეობა უკეთესია. დანარჩენებისთვის წამგებიანია. თუმცა, საერთო ჯამში, დღესდღეობით სადაზღვევო ბიზნესი მომგებიანი არ არის, – აღნიშნავს ხეჩინაშვილი.

მისივე თქმით, სფერო მომგებიანი არ არის იმიტომ, რომ ე.წ. სადაზღვევო მოცვა არ იზრდება:

– წმინდა მოგების შემცირების მთავარი მიზეზი არის ის, რომ ხარჯები გაიზარდა და შემოსავალი – არა, რაც უპირველესად ჯანმრთელობის დაზღვევას უკავშირდება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საბოლოო შედეგი გვაქვს. მაგალითად, ბაზარზე ბევრი ახალი კომპანია გაჩნდა, რომლებმაც დიდი ინვესტიციები განახორციელეს და ასე უცებ ვერ ამოიღებდნენ. ხარჯისა და შემოსავლის დაბალანსება როდის მოხდება, ეს ცალკე თემაა.

პრობლემა არის ის, რომ სადაზღვევო სფეროში მომხმარებელთა რაოდენობა არ იზრდება, ბიზნესი არ ვითარდება. სადაზღვევო მართვის, დაცვის, დაფარვის აქტიური გამოყენება არ ხდება, არც სახელმწიფო დონეზე, არც საზოგადოებრივ დონეზე. მოცვა რომ გაიზრდება, სადაზღვევო ურთიერთობებში მეტი ბიზნესი ჩაერთვება და სფეროც მომგებიანი გახდება.

ხეჩინაშვილის თქმით, ის, რომ ხარჯი გაზრდილია და შემოსავალი შემცირებული, გარკვეულწილად იმის გამო ხდება, რომ საყოველთაო ჯანდაცვისა და სადაზღვევო მომსახურების სინქრონიზება ვერ მოხდა.

– არის ინფლაცია. მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტებზე ფასები გაიზარდა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ცვლილებების შედეგად, სადაზღვევოებს ხარჯი გაეზარდათ. თვეში თითო კაცზე ხარჯი დაახლოებით ორი ლარით მოემატათ. მხოლოდ ხარჯის გაზრდა მოხდა და ფასების – არა. ახლა კი ფასების ადაპტირების პროცესი დაიწყო.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და სადაზღვევო პროდუქტები ერთმანეთს უნდა ენაცვლებოდნენ და ავსებდნენ, – აღნიშნავს ხეჩინაშვილი.

მისივე შეფასებით, მთავრობამ აღიარა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის სფეროში ცალმხრივი გადაწყვეტილებები მიიღო, რამაც სადაზღვევო სფეროსთან სინქრონიზაცია ვერ მოახდინა.

– ბიზნესს რისკების სამართავად დაცვა არ აქვს. სადაზღვევო ურთიერთობები უნდა განვითარდეს. საყოველთაო ჯანდაცვის სფეროში მთავრობამ გადაწყვეტილება ცალმხრივად მიიღო. ახლა კი ნელ-ნელა აღიარა, რომ საკანონმდებლო დონეზე ცვლილებებია საჭირო.

პარლამენტში საქართველოში არარეგისტრირებული ტრანსპორტის სავალდებულო დაზღვევა უკვე მეორე მოსმენით იხილება. ასევე, სამოქალაქო უსაფრთხოების თვალსაზრისით სიახლეები იგეგმება და ეს სფეროც თანდათან რეჟიმში ჩადგება.

იმედი გვაქვს, რომ მომავალი წლისთვის ბაზარი საყოველთაო ჯანდაცვის სფეროში მომხდარ ცვლილებებთან ადაპტირდება, საყოველთაო ჯანდაცვა და სადაზღვევო მომსახურება კი სინქრონიზებული იქნება და ბაზისურ სერვისებზე მოსახლეობის საყოველთაო წვდომის სამსახურში ორივე ერთად ჩადგება, – აცხადებს დევი ხეჩინაშვილი.

2017 წლის 3 კვარტლის ბოლოს რეგისტრირებულია 16 სადაზღვევო კომპანია, 15 მათგანი ფლობს სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო 1 მათგანი – მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.

# სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება 1,7-ჯერ შემცირდა




დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალური სტატისტიკით, 16 სადაზღვევო სექტორის ჯამურმა მოგებამ 9 თვეში 13.5 მლნ ლარი შეადგინა, 1.7-ჯერ ნაკლები, ვიდრე შარშან (22.98 მლნ).

ამავე სტატისტიკის მიხედვით, გაზრდილია მოზიდული პრემიის მოცულობა. კერძოდ, 2017 წლის 3 კვარტალში სადაზღვევო კომპანიებმა მოიზიდეს 345,72 მლნ ლარის პრემია, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი იყო 316,3 მლნ ლარი.

აღსანიშნავია, რომ 16 სადაზღვევო კომპანიის აქტივები 597 მლნ ლარს აღემატება, ჯამური ვალდებულებები კი 444.68 მილიონია.

2017 წლის 3 კვარტლის ბოლოს რეგისტრირებულია 16 სადაზღვევო კომპანია, 15 მათგანი ფლობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი მათგანი – მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.

**კომერსანტი**

# გუგა ქაშიბაძე: „დამწვრობის დაახლოებით 80% გაუფრთხილებლობით ხდება“

## „ძალიან ცუდია, რომ ჩვენი სფერო ბრძოლის საგნად იქცა“

მანანა იაშვილი

**ინტერვიუ დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელ გუგა ქაშიბაძესთან**

***– სამთავრობო ცვლილებებამდე დავით სერგეენკომ წამყვანი კლინიკების ხელმძღვანელებთან შეხვედრა გამართა და თქვენს სფეროში მომავალ ცვლილებებზე ისაუბრა. რა სიახლეს ელით?***

– დიახ, სამედიცინო საზოგადოებას გვქონდა შეხვედრა მინისტრთან და მინისტრის მოადგილეებთან. ზოგადი საუბარი იყო რეფორმასთან, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის მომავალ რეგულაციებთან დაკავშირებით. შეხვედრა დიალოგის ფორმით წარიმართა, რაც სასიხარულო ფაქტია, რადგან ჯანდაცვაში არ ხდება მკვეთრი გადაწყვეტილებების მიღება ჩვენი ჩართულობის გარეშე. დაიგეგმა მომავალი შეხვედრებიც.

***– მაინც რას ამზადებენ, კონკრეტულად რას უნდა ველოდეთ?***

– რეფორმა არ არის ერთხელ გამოცხადებული და დამტკიცებული პროექტი. რეფორმა ცოცხალი ორგანიზმივით არის, რომელსაც, ყოველდღიური შესწორება და მოცემულობიდან გამომდინარე, ყოველდღიური ცვლილებები სჭირდება. ბუნებრივია, ძალიან ბევრი საკითხი სამუშაო პროცესში ჩნდება და ამის მომხრე ყველანი ვართ. ერთადერთი, რაც აუცილებლად უნდა გავითავისოთ, არ არსებობს ერთი ცალკე მხარე – პაციენტი, ექიმი, კლინიკა და ჯანდაცვა ერთი საერთო მოცემულობაა. რაც არ უნდა უსიამო იყოს, ყველა გადაწყვეტილება სახელმწიფოებრივ ჭრილში უნდა გადაწყდეს და ამას ჯანდაცვის ყველა რგოლი უნდა დაეთანხმოს.

***– მაინც რა პროცესი იქნება უსიამო?***

– მთავარი ცვლილებები დაკავშირებულია იმასთან, რომ თანხის გადინება, რაც ჯანდაცვის სამინისტროდან მოდის, იყოს ეკონომიური, მორგებული პაციენტის საჭიროებასა და კლინიკაზე. ლაპარაკი გვქონდა გამოვლენილ შეცდომებზე. დაახლოებით 32-ია ეს ჩამონათვალი, რასაც კლინიკები ყველაზე ხშირად უშვებენ.

***– რა შეცდომები?***

– ძირითადად ეს არის მენეჯერული შეცდომები, როდესაც დასაწყისში არასწორად ხდება პაციენტის გაფორმება, დიაგნოზის სწორად შერჩევა და ეს ბუნებრივად აისახება ფინანსებზე. შემდეგ ხდება კორექტირება, მაგრამ სჯობს, თავიდანვე სწორად და ზუსტად იყოს ყველაფრის გათვალისწინება, რათა ფინანსური დარტყმები არ მიადგეს კლინიკას, სახელმწიფოს და თვითონ პაციენტს. თანხის მიზანმიმართულად ხარჯვა კი ყველას ინტერესშია.

***– აქ ლაპარაკია მხოლოდ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე თუ სხვა კერძო მომსახურებაზე?***

– კლინიკათა დიდი უმრავლესობა კერძოა და, ბუნებრივია, სახელმწიფო აქტიურად ვერ ერევა კერძო კლინიკების საქმიანობაში, მაგრამ, თანხა რომ უნდა კონტროლდებოდეს და მისი მიზანმიმართულობა შეფასებული იყოს, ამაზე ყველა ვთანხმდებით. რაც შეეხება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, მან ჩემი უამრავი პაციენტი გადაარჩინა, რომლებსაც მინიმალური შანსიც არ ჰქონდათ გამოჯანმრთელების და შრომის უნარის აღდგენის. რა თქმა უნდა, მწვავე და გადაუდებელი შემთხვევების დროს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოქმედებს. არასოდეს დამავიწყდება ერთი პაციენტი კახეთიდან, რომლის ვაზსაც საგაზაფხულო სამუშაოების დროს ცეცხლი გაუჩნდა და ის თვითონ შეებრძოლა ხანძარს. ვაზი კი გადაარჩინა, მაგრამ ორივე ხელზე ღრმა დამწვრობა მიიღო. კაცი საგონებელში იყო ჩავარდნილი, ვენახი გაეყიდა და ხელის მტევნები გადაერჩინა თუ სამუდამოდ შრომისუუნაროდ დარჩენილიყო და მაშინ რაღად უნდოდა ვენახი, რომელსაც ვერ მოუვლიდა. იმ გაზაფხულზე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ახალი ამოქმედებული იყო და თქვენ უნდა გენახათ იმ ადამიანის თვალები, როდესაც შეიტყო, რომ ხელის მტევნებზე კანის გადანერგვას სახელმწიფო დაუფინანსებდა და ინვალიდობა არ ემუქრებოდა. ახლა მას ხელების ფუნქციაც აღდგენილი აქვს, ძველებურად უვლის ვენახს და – ახლა პროგრამის კორექტირება, გარკვეულ შიშებს წარმოშობს.

სიახლეს ყოველთვის მოჰყვება ხოლმე გარკვეული შიში და გაუცხოება. მთავარია, ყველა პაციენტამდე და ექიმამდე დატანილ იქნეს სიახლის არსი. მისასალმებელია, რომ ჩვენთან მენტორული გადაწყვეტილებები არ ხდება. სამინისტრო ყველა სიახლეს გვაცნობს და დიალოგის გზით აღწევს შესაბამისი გადაწყვეტილებების შესრულებას. იმის თქმა, რომ ექიმების აზრს არავინ ითვალისწინებს, გამორიცხულია.



***– თქვენთან ხომ არ იგეგმება კადრების შემცირება, ღვაწლმოსილი, გამოცდილი სპეციალისტების, მაგრამ ხნოვანი ადამიანების სამსახურიდან გაშვება?***

– ჯანდაცვის სამინისტრო კანონმდებლობის მიხედვით მოქმედებს. მკვეთრ ცვლილებებზე საუბარი არ არის. იყო მოარული ხმები, რომ ერთ ექიმს რამდენიმე კლინიკაში მუშაობის უფლება არ ექნება, მაგრამ ამ ხმებს საფუძველი არ აქვს, რადგან უცხოეთშიც კი ექიმი რამდენიმე კლინიკაში მუშაობს. თუ არ ხდება ინტერესთა კონფლიქტი და ერთსა და იმავე დახარჯულ დროში ორი კლინიკიდან არ იღებ ხელფასს, რასაც კანონმდებლობა კრძალავს, ბუნებრივია, იმუშავებ. ასევე, რეანიმატოლოგს თუ უწერია, რომ 30 დღიდან 28 დღე მორიგეობს, ეს ფიზიკურადაც გამორიცხულია და ამას კანონმდებლობა თვითონ არ უშვებს. მართალი გითხრათ, დასვენებული ექიმი მე არ მინახავს, ჩვენ სულ ჩართულები ვართ, სულ ფორმაში უნდა ვიყოთ, მაგრამ ზებუნებრივი უნარები არ გაგვაჩნია და რეალობას არ უნდა დავშორდეთ.

***– აბა სადაა პრობლემა?***

– კიდევ ვიმეორებ, მკვეთრი ცვლილებები არ იქნება, მაგრამ, ვთქვათ, კლინიკაში გამოჩენილი ექიმი მხოლოდ იმიტომ არის გაფორმებული, რომ კლინიკას ლიცენზია ჰქონდეს, ეს ყველასთვის მიუღებელია. არავინ უთვლის ექიმს, რამდენიმე კლინიკაში თვეში 30 ოპერაცია გააკეთებს თუ ნაკლებს, თუ ამის ფიზიკური საშუალება აქვს. არცერთ ექიმს არ ეხალისება რამდენიმე კლინიკაში სირბილი. გვირჩევნია ერთ კლინიკაში მუშაობა, მაგრამ, ფინანსური დაინტერესებიდან გამომდინარე, მოცემულობა არის ასეთი. უცხოეთშიც ასეა, არიან ექიმები, რომლებიც საუნივერსიტეტო კლინიკაში მუშაობენ და კერძო კლინიკაშიც აქვთ პრაქტიკა. ამას თუ ასწრებ და დრო გაქვს დალაგებული, არავინ გიკრძალავს.

***– მაგრამ, რამდენად ეფექტურია პაციენტისთვის, რამდენად არის გადაღლილი?***

– დაზღვეული არავინ არის, მაგრამ ექიმს იმის პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს, რა ეფექტური სერვისი მიაწოდოს პაციენტს.

***– ხელფასებთან დაკავშირებით, მგონი, თქვენთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ ჩვეულებრივი ექიმები ცუდ დღეში არიან.***

– ჩვეულებრივი ექიმი ვარ მეც, ხელფასი კი სამყოფი არასდროს არის. ამ საქმეში ჯანდაცვის სამინისტრო, ბუნებრივია, ვერ ერევა, რადგან კლინიკების 99% კერძოა. აქ ურთიერთობას ხელშეკრულების სახე აქვს. იქ ხელფასიც გაწერილია.

***– ექიმები ძირითადად ჩივიან, რომ მთელი შემოსული თანხა ადმინისტრაციაზე მიდის, რომელიც სოკოსავით გაბერილია და უშუალო საქმის შემსრულებლებს, სპეციალისტებს, კაპიკებს უყრიან.***

– ეს არის მიზეზშედეგობრივი კავშირი. მოცემულობაა ასეთი, რომ ხელშეკრულებას ხელს ორი მხარე აწერს, თუ არ ხარ თანახმა, არ დათანხმდები... რამდენსაც აბედვინებ ადმინისტრაციას, იმდენს გიბედავენ. ეს არის თამაშის წესები.

***– კი მაგრამ, ზოგიერთი ხელმძღვანელი გეტყვის, დაწერე განცხადება და წადიო, ეს კი ამ დროში, მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს.***

– ცალკე ადმინისტრაცია და ცალკე ექიმები არ არსებობს. ეს არის მოცემულობა, საზოგადოებაა ასეთი. ბუნებრივია, აქ არის სოლიდარობაზე საუბარი და იმ შეთანხმებაზე, რასაც ორივე მხარე ცივილიზებულად მიაღწევს. ჩვენთან მოცემულობა ასეთია, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. დიახ, გვინდა ექიმებს მაღალი ხელფასი, გვინდა გვქონდეს უახლესი ტექნოლოგიები, მაგრამ ეს თავისთავად სერვისებს აძვირებს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი გადასახადების გადახდილი თანხით რა პროცენტი მოდის ჯანდაცვის წილზე, ამაში ძალიან უკან ვართ ევროპასთან შედარებით.

***– სამედიცინო განათლება ყოველთვის პრესტიჟული იყო და ახლაც არის. ახალი კადრების სამსახურში მიღების საკითხი როგორ არის თქვენთან?***

– ახლა რეზიდენტურის პროგრამა გაცილებით გართულებულია, ვიდრე ჩემ დროს იყო. სხვადასხვა სპეციალობაში ახლა მეტი დროს სჭირდება რეზიდენტურას, ვიდრე ადრე. ერთს ვიტყვი, ახლა გაცილებით უკეთესი თაობა მოდის, ჩვენზე მოტივირებული და მიზანმიმართული. ჩვენს თაობას ისეთ დროს მოუწია ზრდასრული ცხოვრების დაწყება, როდესაც ფასეულობების რღვევა და გადაფასება მიმდინარეობდა. ჩვენ ვხედავდით ადამიანებს, რომლებმაც თავიანთ საქმეს მთელი ცხოვრება შესწირეს, დაფასებული პროფესორები, გამომგონებლები იყვნენ და ქუჩაში იდგნენ წიგნებისა და ძველმანების გასაყიდად. მეორე მხრივ კი ვიღაც ვიგინდარა, რომელსაც ქვეყნისთვის თითი თითზე არ დაუდია, გამდიდრდა და საუკეთესო მანქანით ქალაქის ულამაზეს გოგონებს დააგრიალებდა. ჩემი თაობა დაიბნა და ვერ მიხვდა, უკეთესი მომავლისათვის სად იყო პრიორიტეტი და რა უნდა გაეკეთებინა. საბედნიეროდ, ახლა ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ახლა ახალგაზრდამ იცის, რაც უფრო მეტ ინტელექტუალურ ცოდნას შეიძენს, რაც უფრო მეტს იშრომებს, მით უფრო კარგი მომავალი აქვს გარანტირებული. როგორც დარგის ხელმძღვანელი, დაინტერესებული ვარ, ჩვენთან კარგი ახალგაზრდები მოვიდნენ პროფესიის დასაუფლებლად და ახალი უნარჩვევების შესაძენად.

***– რამდენი თანამშრომელი გყავთ?***

– ჩვენი ცენტრი განთავსებულია სიმონ ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკაში და გარკვეული ხელშეკრულება გვაქვს დადებული მათთან. სულ ცენტრში მუშაობს 64 ადამიანი, 31 საწოლზე გვაქვს გვაქვს კლინიკა. დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი მედდები და მათი დამხმარეები არიან. გვაქვს რეანიმაციის განყოფილება, საოპერაციო, ცალ-ცალკე ბავშვებისა და მოზრდილების განყოფილება. საქართველოში ჩვენი დარგის განვითარება მომავლის საქმეა, მაგრამ ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ ჩვენი დარგის მსოფლიო მიღწევებს. საბედნიეროდ, ჩვენს დარგში ახალი მიღწევების გაცვლა-გამოცვლა ახლა პრობლემას არ წარმოადგენს, ორ თვეში ერთხელ იმართება კონფერენციები, სადაც ყოველი ახალი მიღწევის გაცნობა შესაძლებელია.

***– საქართველოში თქვენი პროფილის ერთადერთი კლინიკაა. 31 საწოლი ცოტა ხომ არ არის?***

– საერთოდ, მსოფლიოში მიღებული სტანდარტით 3-10 მილიონამდე პოპულაციას სჭირდება ერთი დამწვრობის ცენტრი. ეს სრულიად საკმარისია ჩვეულებრივ პირობებში. მასობრივი კატასტროფების დროს ჯანდაცვის სამინისტროში გაწერილი გვაქვს გეგმა, როგორ მოხდება პაციენტთა გადანაწილება და საჭირო გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარება. მახსოვს, რა საშინელ დღეში ჩავცვივდით, როდესაც სასტუმრო „აფხაზეთი“ დაიწვა და უცებ 64 პაციენტის მიღება გახდა საჭირო, მაგრამ გავუმკლავდით.

***– ამ ბოლო დროს ექიმებს უყურადღებობას ხშირად საყვედურობენ პაციენტები. რატომ ხდება ეს?***

– ძალიან ცუდია, რომ ჩვენი სფერო ბრძოლის საგნად იქცა. პაციენტი როდესაც მოდის, თავიდანვე ეჭვის თვალით გიყურებს – ხომ არაფერს მაკლებს, ხომ სწორად ნიშნავს მკურნალობას და ასე შემდეგ, გამოსაჯანმრთელებლად კი მთავარია პაციენტის განწყობა. თუ ექიმსა და პაციენტს შორის არ დამყარდა ფსიქოლოგიური კავშირი, თუ არ გაჩნდა ნდობა, ძალიან ჭირს პაციენტის გამოჯანმრთელება. ექიმიც მძიმე დღეშია, იმის მაგივრად, რომ კონცენტრირება ძირითად დაავადებაზე მოახდინოს, მას უწევს სხვა დეტალებზე ფიქრი და პაციენტის ფსიქოლოგიურ განწყობაზე მუშაობა. მაგრამ არასოდეს უნდა დაგენანოს პაციენტისთვის დახარჯული დრო, რადგან მკურნალობა მხოლოდ ოპერაციის ჩატარება არ არის. ჩვეულებრივი საუბარი, ახსნა-განმარტება და პაციენტის მომზადებაც ექიმის პროფესიის განუყოფელი ნაწილია.

***– დამწვრობის მკურნალობა ძალიან საფრთხილო და შრომატევადი საქმეა. ძნელია ალბათ.***

– მედიცინაში არ არსებობს იოლი დარგი, მაგრამ დამწვრობა მაინც გამორჩეულია, მძიმე სამუშაოა, რადგან ეს არ არის დაავადება, რომელიც სწრაფად განკურნებადია. სრულ განკურნებას გაცილებით ხანგრძლივი საწოლი რეჟიმი სჭირდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კანის გადანერგვაა საჭირო. ჰოსპიტალიდან გაწერის შემდეგ მკურნალობა არ მთავრდება, ნაწიბურების ჩამოყალიბებას უნდა ყურადღების მიქცევა და სპეციალური მოვლა, აუცილებელია ფიზიოთერაპიული და სხვა პროცედურები, თუ გავითვალისწინებთ, რომ დამწვრობას უმეტესად იღებს სოციალურად დაუცველი ფენა.

***– მართლა? ეს არ ვიცოდი.***

– დიახ, მთელ მსოფლიოში ძირითადად ასეა. ეს პირდაპირ არის დამოკიდებული ინტელექტსა და სოციალურ მდგომარეობაზე. რაც უფრო მაღალია ინტელექტი, მით უფრო ნაკლებია ალბათობა, რომ დამწვრობა მიიღო, რადგან დამწვრობის დაახლოებით 80% გაუფრთხილებლობით ხდება, დანარჩენი არის უბედური შემთხვევა. როდესაც ქუჩაში ფეხებთან კაბელი აგიფეთქდება, ეს უბედური შემთხვევაა, მაგრამ, როდესაც ანთებული ასანთით ბენზინის ბაკს გაანათებ ან დედა რომ ჩვილ ბავშვს ცხელი წყლით სავსე აბაზანაში ჩააწვენს ტემპერატურის შეუმოწმებლად, ეს უკვე რას ნიშნავს? თითქოს ელემენტარულ რაღაცაზე ვლაპარაკობ, მაგრამ ასეთ შემთხვევებს ხშირად ვაწყდებით. ჩვენი პაციენტების დიდი ნაწილი გაუფრთხილებლობით არის მოხვედრილი კლინიკაში. ბუნებრივია, თუ სახლში გამართულია ელექტროსისტემა, გაზის სისტემა, ასეთ სახლში გაუფრთხილებელი შემთხვევა ნაკლებად ხდება, მაგრამ, თუ ოჯახში ბევრი ადამიანი ერთ ოთახში ცხოვრობს, ადუღებული წყლით სავსე ქვაბი იატაკზე დგას და გარშემო ორი წლის ბავშვი დარბის, ამ დროს უბედური შემთხვევის ალბათობა მაღალია. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ოდნავ მეტი ყურადღების გამოჩენით უბედურების თავიდან აცილება შეიძლებოდა. დამერწმუნეთ, თვით ძალიან სუფთა და მოწესრიგებულ სამზარეულოში ბევრი პატარა ეშმაკი იმალება.

***– თქვენ თავიდანვე აირჩიეთ დამწვრობის განხრა?***

– პროფესიით ვარ პლასტიკური ქირურგი, მაგრამ ჩემი ძირითადი საქმიანობა არის რეკონსტრუქციული ქირურგია და დამწვრობის მკურნალობა. ჩვენთან ასევე კეთდება გეგმური რეკონსტრუქციული ტრავმისშემდგომი დეფექტებისა და ფუნქციის მოშლილობის აღდგენა. არასოდეს მინანია, რომ ექიმი ვარ, არც მაშინ, როდესაც ჩაბნელებულ ქალაქში სამსახურში ფეხით დავდიოდი და ოჯახში სადილის პრობლემა გვქონდა, კლინიკაში კი არ იყო შუქი, არ იყო გაზი და პაციენტებს სიცივისგან ჭრილობიდან ორთქლი ამოსდიოდათ. ყოველთვის მოტივირებული ვიყავი, დავხმარებოდი ავადმყოფს და მეტი გამეგო ჩვენი სფეროს შესახებ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# მაკეინი: „რუსეთი მეზობელი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება!“



სენატორმა ჯონ მაკეინმა განაცხადა, რომ რუსეთის იმპერიულ-შოვინისტური განწყობილებები იზრდება. ამისი ლოგიკური თანმხლებია პოლიციური რეჟიმის გაძლიერება და თავისუფალი სიტყვის შეზღუდვა.

— რადიო „თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ გარშემო აზვირთებული აჟიოტაჟი ამისი ნათელი დადასტურებაა! — თქვა მაკეინმა.

სენატორმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსული ხიშტების მეშვეობით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული რეჟიმები დამყარდა. განხორციელდა ეთნოწმენდა, რის შედეგადაც აფხაზეთში დემოგრაფიული სურათი ხელოვნურად შეცვალეს. რუსეთმა მოახდინა ყირიმის ოკუპაცია-ანექსია, შეეცადა, უკრაინისაგან მთელი აღმოსავლეთ-სამხრეთ რეგიონები მოეწყვიტა. ამას შედეგად დონბასის ომი მოჰყვა, რომელიც დღემდე გრძელდება.

— რუსული მედიასაშუალებები, ისეთები, როგორებიც არიან „რაშა თუდეი“ და სხვები, კრემლის პროპაგანდის რუპორებად გადაიქცნენ. მათ ჟურნალისტიკასთან საერთო აღარაფერი აქვთ. მათი ამოცანაა, შავი თეთრად გაასაღონ და ყოველივე იმგვარად წარმოაჩინონ, როგორც კრემლისთვისაა ხელსაყრელი. ის მედია, რომელიც ამას ეწინააღმდეგება, იკრძალება. ჟურნალისტები, რომლებიც პუტინს აკრიტიკებენ, იდევნებიან, — ამბობს მაკეინი.

ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ, თავის მხრივ, რუსეთი ბრექსიტის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. მან აღნიშნა, რომ მოსკოვი აქტიურად უჭერდა მხარს ბრექსიტს და ეს როგორც საინფორმაციო, ისე ფინანსური მხარდაჭერით გამოიხატა.

— რუსეთი ცდილობს, საინფორმაციო საშუალებები ნამდვილ იარაღად აქციოს, სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩაერიოს და მისთვის სასიკეთო ცვლილებები განახორციელოს! ბრექსიტი ამისი საუკეთესო დადასტურებაა, — თქვა მეიმ.

ტერეზა მეისა და მაკეინის გამოსვლების პასუხად ვლადიმერ პუტინმა ფრიად საინტერესო სვლა გააკეთა. ის ტელეფონით ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების ლიდერებს ზახარჩენკოსა და პლოტნიცკის დაუკავშირდა. ფორმალურად საუბარი დონბასელ სეპარატისტებსა და უკრაინას შორის ტყვეთა გაცვლას შეეხებოდა. სინამდვილეში ეს პუტინის მიერ სეპარატისტების მხარდაჭერის დემონსტრაცია იყო.

პუტინის თანაშემწე პესკოვმა მომხდარის გამო სასწრაფო ახსნა-განმარტება გააკეთა. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პუტინის სეპარატისტებთან ტელეფონით კონტაქტი მხოლოდ ჰუმანური მოსაზრებებით იყო განპირობებული, პუტინს სურს, ომი შეჩერდეს და ყველა ტყვე შინ დაბრუნდეს.

— ჩვენ არც სეპარატისტებს, არც უკრაინელებს მხარს არ ვუჭერთ. ჩვენ მხოლოდ მშვიდობა გვსურს, — ამბობს პესკოვი.

ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის ლიდერმა ზახარჩენკომ პესკოვის სიტყვები უნებლიეთ გააბათილა. მან განაცხადა, რომ პუტინის პირადი კონტაქტი მასთან და პლოტნიცკისთან ძალთა განლაგებას ძირეულად ცვლის.

— არ გამოვრიცხავ, რომ მალე რუსეთი დონეცკ-ლუგანკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას ოფიციალურად აღიარებს, შემდეგ კი ჩვენ რუსეთის შემადგენლობაში შევალთ, — ამბობს ზახარჩენკო.

სენატორმა მაკეინმა თავის გამოსვლაში რუსეთის აგრესიულობას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი და დასავლეთს მოუწოდა, სათანადო რეაგირება მოახდინოს.

— რუსეთი მეზობელი სახელმწიფოების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება! კრემლის აგრესიული პოლიტიკის შედეგია ომები, ნგრევა, სისხლი! ამაზე დუმილი აღარ შეიძლება, — თქვა მაკეინმა.




# გერმანია მზადაა, რაქას განაღმვაში მონაწილეობა მიიღოს

გერმანია სირიაში ფულის ჩადებას არ ჩქარობს. კანცლერმა მერკელმა განაცხადა, რომ სანამ სირიაში ვითარება არ დასტაბილურდება, ფულს არ ჩადებდნენ. სამაგიეროდ, ბერლინი მზადაა, რაქას განაღმვაში მონაწილეობა მიიღოს.

როგორც ცნობილია, რაქა ისლამურმა სახელმწიფომ თავის დედაქალაქად გამოაცხადა. ტერორისტები ქალაქიდან აშშ-ის მხარდაჭერით შექმნილი კოალიციის ფორმირებებმა განდევნეს.

გერმანია მზადაა, რაქას განაღმვისთვის 10 მილიონი ევრო გამოყოს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ზიმბაბვეში პრეზიდენტის გარემოცვის რამდენიმე წევრი დააკავეს



ზიმბაბვეში სამხედროებმა ქვეყნის პრეზიდენტ რობერტ მუგაბეს გარემოცვის რამდენიმე წევრი დააკავეს.

სამხედროები აცხადებენ, რომ რამდენიმე დამნაშავე ჯერ კიდევ თავისუფალია. მათ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებენ მუგაბესთან და, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება, მოსახლეობას შედეგებს შეატყობინებენ.

რამდენიმე დღის წინ ზიმბაბვეს სამხედროებმა მძევლად აიყვანეს ქვეყნის პრეზიდენტი რობერტ მუგაბე და მისი დაცვის წევრები.

ნოემბრის დასაწყისში 93 წლის რობერტ მუგაბემ თანამდებობიდან გაათავისუფლა თავისი მოადგილე ემერსონ მნანგაგვა, რომელიც მის სავარაუდო მემკვიდრედ ითვლებოდა. ზიმბაბვეს ლიდერის პოსტისთვის ბრძოლაში მნანგაგვას მთავარ მოწინააღმდეგედ ქვეყნის 53 წლის პირველი ლედი გრეის მუგაბე ითვლება.

# ესპანეთის შსს: „პუჩდემონს სამარტოო საკანი გარანტირებული აქვს“



ესპანეთის შსს-ში განმარტავენ, თუ რა პირობებში მოუწევს პატიმრობაში ყოფნა კატალონიის ყოფილ ლიდერ კარლეს პუჩდემონს მადრიდში მისი ექსტრადიციის შემთხვევაში.

უწყებაში აღნიშნავენ, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პუჩდემონს „ესტრემერას“ ციხეში მოათავსებენ, სადაც ამჟამად კატალონიის მთავრობის სხვა ყოფილი წევრები იმყოფებიან. სხვა პატიმრების მხრიდან შესაძლო თავდასხმის პრევენციის მიზნით კატალონიის ყოფილი ლიდერი მუდმივი დაკვირვების ქვეშ იქნება. გარდა ამისა, ესპანეთის შსს-ში აცხადებენ, რომ სამარტოო საკანსა და სხვა თანაგუნდელებთან ერთად ყოფნას შორის არჩევანს თავად პუჩდემონი გააკეთებს.

3 ნოემბერს ესპანურმა სასამართლომ პუჩდემონისა და ბრიუსელში მყოფი კატალონიის მთავრობის სხვა ყოფილი წევრების დაკავების ორდერი გასცა. მათ აჯანყების ორგანიზება, ამბოხება, სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა ბრალდებათ.

საერთო ჯამში, ამ დანაშაულისთვის მათ 50-წლიანი პატიმრობა ემუქრებათ.

# იაპონური კომპანია: „ბოდიში, რომ მატარებელი ადგილზე 20 წამით ადრე ჩავიდა“

იაპონიაში სარკინიგზო კომპანია „ცუკუბა ექსპრესმა“ ბოდიში იმის გამო მოიხადა, რომ ერთ-ერთი მატარებელი დანიშნულების ადგილზე დაგეგმილზე 20 წამით ადრე ჩავიდა.

„ცუკუბა ექსპრესის“ მენეჯმენტი ოფიციალურ განცხადებაში „გულწრფელ ბოდიშს უხდის მომხმარებლებს შექმნილი დისკომფორტის გამო“.

მატარებელი ტოკიოსა და ცუკუბას აკავშირებს. კომპანიის ცნობით, თანამშრომლის შეცდომის გამო მატარებელი სადგურიდან 9:44:40 საათის ნაცვლად 9:44:20 საათზე გავიდა და ამიტომაც ჩავიდა 20 წამით ადრე დანიშნულების ადგილზე. მათივე განცხადებით, მომხდარის გამო პრეტენზია არცერთ კლიენტს არ გამოუთქვამს.

სოციალურ მედიაში კომპანიის განცხადებას გაოცებით შეხვდნენ.




# განცხადებები

**ქირავდება**

● ქირავდება საკუთარი სახლის პირველი სართული, სამი ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, ინტერნეტი — დიღომში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან ახლოს, თამარ მეფის ქუჩა 3. ფასი 550 ლარი. ტელ: 592-599-777.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დერბების ტური ევროპაში

მადრიდის დერბი, რომაული დერბი, ლონდონური დერბი – ამ უქმეებზე ის ტურია, გულშემატკივარი რომ არ მოიწყენს. ჩავუჯექით...




## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.11 | არსენალი-ტოტენჰემი | 2.37 | 3.5 | 2.8 |
| 18.11 | ლივერპული-საუთჰემპტონი | 1.4 | 4.75 | 7.5 |
| 18.11 | ბორნმუთი-ჰადერსფილდი | 1.91 | 3.4 | 4.2 |
| 18.11 | კრ.პალასი-ევერტონი | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 18.11 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 5.5 | 4.0 | 1.57 |
| 18.11 | ბარნლი-სუონსი | 2.0 | 3.2 | 4.0 |
| 18.11 | ლესტერი-სიტი | 8.5 | 5.0 | 1.35 |
| 18.11 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.28 | 5.0 | 12.0 |
| 19.11 | უოტფორდი-ვესტ ჰემი | 2.1 | 3.4 | 3.5 |
| 20.11 | ბრაიტონი-სტოკი | 2.4 | 3.1 | 3.1 |

**არსენალი-ტოტენჰემი**

არსენალი: ***ტრავმ***-დანი უელბეკი, სანტი კაზორლა

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ტობი ალდერვეირელდი, უგო ლორისი, ვიქტორ ვანიამა

**ლივერპული-საუთჰემპტონი**

ლივერპული:***ტრავმ***-ფელიპე კოუტინიო, ადამ ლალანა

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-მარიო ლემინა

**ბორნმუთი-ჰადერსფილდი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ბენიკ აფობე, ჯუნიორ სტანისლასი, ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ფილიპ ბილინგი, კეისი პალმერი, მაიკლ ჰელეფე

**კრ.პალასი-ევერტონი**

კრ.პალასი:***ტრავმ***-ლი ჩუნგ-იონგი, კრისტიან ბენტეკე

ევერტონი: ***ტრავმ***-კუკო მარტინა, სიმუს კოულმენი

**ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი**

ვესტ ბრომვიჩი:***ტრავმ***-კრეიგ დაუსონი, ჯეიმს მორისონი

ჩელსი: ***ტრავმ***-ვიქტორ მოსესი

**ბარნლი-სუონსი**

ბარნლი: ***ტრავმ***-ჯონათან უოლტერსი, ტომ ჰატონი

სუონსი: ***ტრავმ***-ანგელ რანგელი, ლეონ ბრიტონი, მარტინ ოლსონი, კილი ბარტლი

**ლესტერი-სიტი**

ლესტერი: ***ტრავმ***-მატ ჯეიმსი

სიტი:***ტრავმ***-ბენჯამინ მენდი, ვინსენტ კომპანი

**მანჩესტერი-ნიუკასლი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-მარუან ფელაინი, პოლ პოგბა, მარკოს როხო

ნიუკასლი: ***ტრავმ***-მიკელ მერინო, პოლ დამერტი

**უოტფორდი-ვესტ ჰემი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-ნათანიელ ჩალობა

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჟოზე ფონტე, მაიკლ ანტონიო, ჯეიმს კოლინზი

**ბრაიტონი-სტოკი**

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

სტოკი: ***ტრავმ***-ჯეფ კამერონი, სტივენ აირლანდი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 11 | 10 | 1 | 0 | 38-7 | 31 |
| 2.მანჩესტერი | 11 | 7 | 2 | 2 | 23-5 | 23 |
| 3.ტოტენჰემი | 11 | 7 | 2 | 2 | 20-7 | 23 |
| 4.ჩელსი | 11 | 7 | 1 | 3 | 19-10 | 22 |
| 5.ლივერპული | 11 | 5 | 4 | 2 | 21-17 | 19 |
| 6.არსენალი | 11 | 6 | 1 | 4 | 20-16 | 19 |
| 7.ბარნლი | 11 | 5 | 4 | 2 | 10-9 | 19 |
| 8.ბრაიტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 11-11 | 15 |
| 9.უოტფორდი | 11 | 4 | 3 | 4 | 17-21 | 15 |
| 10.ჰადერსფილდი | 11 | 4 | 3 | 4 | 8-13 | 15 |
| 11.ნიუკასლი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-10 | 14 |
| 12.ლესტერი | 11 | 3 | 4 | 4 | 16-16 | 13 |
| 13.საუთჰემპტონი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-11 | 13 |
| 14.სტოკი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-22 | 12 |
| 15.ევერტონი | 11 | 3 | 2 | 6 | 10-22 | 11 |
| 16.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 2 | 4 | 5 | 9-14 | 10 |
| 17.ბორნმუთი | 11 | 3 | 1 | 7 | 7-14 | 10 |
| 18.ვესტ ჰემი | 11 | 2 | 3 | 6 | 11-23 | 9 |
| 19.სუონსი | 11 | 2 | 2 | 7 | 7-13 | 8 |
| 20.კრ.პალასი | 11 | 1 | 1 | 9 | 4-22 | 4 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.11 | ხეტაფე-ალავესი | 1.75 | 3.5 | 5.0 |
| 18.11 | ლეგანესი-ბარსელონა | 10.0 | 5.5 | 1.28 |
| 18.11 | სევილია-სელტა | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 18.11 | ატლეტიკო-რეალი | 2.9 | 3.4 | 2.37 |
| 19.11 | მალაგა-დეპორტივო | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 19.11 | ესპანიოლი-ვალენსია | 3.25 | 3.5 | 2.15 |
| 19.11 | ლას პალმასი-ლევანტე | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 19.11 | ბილბაო-ვილიარეალი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 20.11 | ეიბარი-ბეტისი | 2.5 | 3.4 | 2.75 |

**ხეტაფე-ალავესი**

ხეტაფე: ***ტრავმ***-გაკუ შიბასაკი

ალავესი: ***ტრავმ***-ექტორი

**ლეგანესი-ბარსელონა**

ლეგანესი: ***ტრავმ***-ნორდინ ამრაბატი, ომარ რამოსი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ანდრე გომესი, სერხი რობერტო, ალექსის ვიდალი, ოსმან დემბელე

**სევილია-სელტა**

სევილია: ***ტრავმ***-ხოაკინ კორეა, ვალტერ მონტოია, გაბრიელ მერკადო, დანიელ კარიკო, ნიკოლას პარეხა

სელტა: ***ტრავმ***-ფაკუნდო რონკალია

**ატლეტიკო-რეალი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ფელიპე ლუისი, იანიკ კარასკო, კოკე

რეალი: ***ტრავმ***-კეილორ ნავასი, დანიელ კარვახალი, მატეო კოვაჩიჩი

**მალაგა-დეპორტივო**

მალაგა: ***ტრავმ***-მიგელ ტორესი, დიეგო როლანი, ზდრავკო კუზმანოვიჩი, ფედერიკო რიკა

დეპორტივო: ***ტრავმ***-ადრიანი, რუბენი

**ესპანიოლი-ვალენსია**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-მარკ ნავარო

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ

**ლას პალმასი-ლევანტე**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ჯონათან ვიერა, ოსმან ტანანე, ალენ ჰალილოვიჩი

ლევანტე: ***ტრავმ***-ნანო, ივან ლოპესი

**ბილბაო-ვილიარეალი**

ბილბაო:***ტრავმ***-ბენატ ეჩებერია, ოსკარ დე მარკოსი, იკერ მუნიანი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ხაიმე კოსტა, სამუ, რუბენ სემედო, ანდრეს ფერნანდესი

**ეიბარი-ბეტისი**

ეიბარი: ***ტრავმ***-გონსალო ესკალანტე, ივან რამისი

ბეტისი: ***ტრავმ***-ფრანსის გერერო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 11 | 10 | 1 | 0 | 30-4 | 31 |
| 2.ვალენსია | 11 | 8 | 3 | 0 | 30-11 | 27 |
| 3.რეალი | 11 | 7 | 2 | 2 | 22-9 | 23 |
| 4.ატლეტიკო | 11 | 6 | 5 | 0 | 16-6 | 23 |
| 5.ვილიარეალი | 11 | 6 | 2 | 3 | 18-11 | 20 |
| 6.სევილია | 11 | 6 | 1 | 4 | 12-11 | 19 |
| 7.სოსიედადი | 11 | 5 | 2 | 4 | 24-21 | 17 |
| 8.ბეტისი | 11 | 5 | 2 | 4 | 21-20 | 17 |
| 9.ლეგანესი | 11 | 5 | 2 | 4 | 9-8 | 17 |
| 10.ხირონა | 11 | 4 | 3 | 4 | 13-16 | 15 |
| 11.სელტა | 11 | 4 | 2 | 5 | 22-17 | 14 |
| 12.ხეტაფე | 11 | 3 | 4 | 4 | 15-13 | 13 |
| 13.ესპანიოლი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-13 | 13 |
| 14.ლევანტე | 11 | 2 | 6 | 3 | 12-15 | 12 |
| 15.ბილბაო | 11 | 3 | 2 | 6 | 11-15 | 11 |
| 16.დეპორტივო | 11 | 3 | 2 | 6 | 13-20 | 11 |
| 17.ეიბარი | 11 | 2 | 2 | 7 | 6-25 | 8 |
| 18.ალავესი | 11 | 2 | 0 | 9 | 5-16 | 6 |
| 19.ლას პალმასი | 11 | 2 | 0 | 9 | 8-28 | 6 |
| 20.მალაგა | 11 | 1 | 1 | 9 | 6-23 | 4 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.11 | ბაიერნი-აუგსბურგი | 1.14 | 8.5 | 15.0 |
| 18.11 | ლევერკუზენი-ლაიფციგი | 2.15 | 3.8 | 3.0 |
| 18.11 | მაინცი-კიოლნი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 18.11 | ჰოფენჰაიმი-აინტრახტი | 2.15 | 3.5 | 3.2 |
| 18.11 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 18.11 | ჰერტა-გლადბახი | 2.9 | 3.4 | 2.37 |
| 19.11 | შალკე-ჰამბურგი | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 19.11 | ვერდერი-ჰანოვერი | 2.2 | 3.5 | 3.1 |

**ბაიერნი-აუგსბურგი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჯოშუა კიმიხი, ტომას მიულერი, მანუელ ნოიერი

აუგსბურგი:***ტრავმ***-სერხიო კორდოვა, მარტინ ჰინტეგერი

**ლევერკუზენი-ლაიფციგი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-შტეფან კისლინგი, ანდრე რამალო

ლაიფციგი: ***ტრავმ***-იან-კევინ აუგუსტინი, შტივენ ილსანკერი

**მაინცი-კიოლნი**

მაინცი:***ტრავმ***-რენე ადლერი, კარიმ ონისივო

კიოლნი: ***ტრავმ***-მარკო ჰოგერი, კლაუდიო პიზარო, ჯონ კორდობა, იონას ექტორი

**ჰოფენჰაიმი-აინტრახტი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-კევინ ვოგტი, ლუკას რუპი, მარკ უტი, სერჟ გნაბრი, ადამ ზალაი, პაველ კადერაბეკი, ერმინ ბიჩაკჩიჩი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ტიმოტი ჩანდლერი, დანი და კოსტა

**ვოლფსბურგი-ფრაიბურგი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-იგნასიო კამაჩო

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ფლორიან ნიდერლეხნერი, ფილიპ ლენჰარტი, ვინსენტ სიერო

**ჰერტა-გლადბახი**

ჰერტა:***ტრავმ***-მეტიუ ლეკიე, ვლადიმირ დარიდა

გლადბახი: ***ტრავმ***-იონას ჰოფმანი, იბრაჰიმა ტრაორე, რაულ ბობადილა, ლასლო ბენეში

**შალკე-ჰამბურგი**

შალკე: ***ტრავმ***-არავინ

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლაი მიულერი

**ვერდერი-ჰანოვერი**

ვერდერი: ***ტრავმ***-მაქს ეგეშტეინი

ჰანოვერი:***ტრავმ***-ჩარლისონ ბენშოპი, ფელიპე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 11 | 8 | 2 | 1 | 27-8 | 26 |
| 2.ლაიპციგი | 11 | 7 | 1 | 3 | 18-13 | 22 |
| 3.დორტმუნდი | 11 | 6 | 2 | 3 | 28-14 | 20 |
| 4.შალკე | 11 | 6 | 2 | 3 | 14-10 | 20 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 11 | 5 | 4 | 2 | 20-14 | 19 |
| 6.ჰანოვერი | 11 | 5 | 3 | 3 | 15-11 | 18 |
| 7.აინტრახტი | 11 | 5 | 3 | 3 | 13-11 | 18 |
| 8.გლადბახი | 11 | 5 | 3 | 3 | 17-19 | 18 |
| 9.ლევერკუზენი | 11 | 4 | 4 | 3 | 23-16 | 16 |
| 10.აუგსბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 16-11 | 16 |
| 11.ჰერტა | 11 | 3 | 5 | 3 | 14-15 | 14 |
| 12.შტუტგარტი | 11 | 4 | 1 | 6 | 10-14 | 13 |
| 13.მაინცი | 11 | 3 | 3 | 5 | 12-17 | 12 |
| 14.ვოლფსბურგი | 11 | 1 | 8 | 2 | 13-16 | 11 |
| 15.ჰამბურგი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-18 | 10 |
| 16.ფრაიბურგი | 11 | 1 | 5 | 5 | 6-21 | 8 |
| 17.ვერდერი | 11 | 0 | 5 | 6 | 4-14 | 5 |
| 18.კიოლნი | 11 | 0 | 2 | 9 | 4-22 | 2 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.11 | რომა-ლაციო | 2.25 | 3.5 | 3.0 |
| 18.11 | ნაპოლი-მილანი | 1.44 | 4.75 | 6.5 |
| 19.11 | კროტონე-ჯენოა | 2.9 | 3.2 | 2.5 |
| 19.11 | სამპდორია-იუვენტუსი | 6.0 | 4.0 | 1.55 |
| 19.11 | უდინეზე-კალიარი | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 19.11 | ტორინო-კიევო | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 19.11 | სპალი-ფიორენტინა | 4.0 | 3.5 | 1.91 |
| 19.11 | ბენევენტო-სასუოლო | 3.75 | 3.6 | 1.95 |
| 19.11 | ინტერი-ატალანტა | 1.75 | 4.0 | 4.2 |
| 20.11 | ვერონა-ბოლონია | 2.87 | 3.2 | 2.5 |

**რომა-ლაციო**

რომა: ***ტრავმ***-ბრუნო პერესი

ლაციო: ***ტრავმ***-ფელიპე კაისედო, დავიდე დი ჯენარო

**ნაპოლი-მილანი**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ფაუზი გულამი, არკადიუშ მილიკი

მილანი:***ტრავმ***-ლუკას ბილია, დავიდე კალაბრია, ჯაკომო ბონავენტურა, ანდრეა კონტი

**კროტონე-ჯენოა**

კროტონე:***ტრავმ***-არისტოტელეს რომერო, ოლივერ კრაგლი, მარკო ტუმინელო

ჯენოა: ***ტრავმ***-ლუკა როზეტინი, არმანდო იზო, გორან პანდევი, ედი სალსედო, ისააკ კოფი, რიკარდო ცენტურიონი, ნიკოლას სპოლი

**სამპდორია-იუვენტუსი**

სამპდორია: ***ტრავმ***-ფილიპ ჯურიჩიჩი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მეჰდი ბენატია, მარკო პიაცა

**უდინეზე-კალიარი**

უდინეზე: ***ტრავმ***-ვალონ ბეჰრამი, ემილ ჰალფრედსონი

კალიარი: ***ტრავმ***-ფაბიო პისაკანე, ნიკოლო ბარელა, ალესიო გრანო, ანდრეა კოსუ

**ტორინო-კიევო**

ტორინო: ***ტრავმ***-სიმონე ედერა

კიევო: ***ტრავმ***-მეჰდი ლერისი

**სპალი-ფიორენტინა**

სპალი: ***ტრავმ***-მარკო ბორიელო, საული ვაისანენი, სერჟიო ფლოკარი, ფედერიკო ვივიანი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ვინსენტ ლორინი, რაფიკ ზეჰნინი

**ბენევენტო-სასუოლო**

ბენევენტო: ***ტრავმ***-მარკო დალესანდრო, ანდრეა კოსტა

სასუოლო: ***ტრავმ***-დომენიკო ბერარდი, ალფრედ დანკანი, ტიმო ლეხერტი, კლოდ აჯაპონგი

**ინტერი-ატალანტა**

ინტერი: ***ტრავმ***-რობერტო ჯალიარდინი, მირანდა

ატალანტა: ***ტრავმ***-ალეხანდრო გომესი, ჯანლუკა მანჩინი

**ვერონა-ბოლონია**

ვერონა: ***ტრავმ***-მატია ვალოტი, მოის კინი, ალექს ფერარი

ბოლონია: ***ტრავმ***-ანდრეა პოლი, ფილიპ ჰელანდერი, ანტონიო მირანტე, ვასილის ტოროსიდისი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 12 | 10 | 2 | 0 | 32-8 | 32 |
| 2.იუვენტუსი | 12 | 10 | 1 | 1 | 35-11 | 31 |
| 3.ინტერი | 12 | 9 | 3 | 0 | 23-9 | 30 |
| 4.ლაციო | 11 | 9 | 1 | 1 | 31-12 | 28 |
| 5.რომა | 11 | 9 | 0 | 2 | 21-7 | 27 |
| 6.სამპდორია | 11 | 7 | 2 | 2 | 24-13 | 23 |
| 7.მილანი | 12 | 6 | 1 | 5 | 18-16 | 19 |
| 8.ტორინო | 12 | 4 | 5 | 3 | 17-19 | 17 |
| 9.ფიორენტინა | 12 | 5 | 1 | 6 | 21-17 | 16 |
| 10.ატალანტა | 12 | 4 | 4 | 4 | 19-16 | 16 |
| 11.კიევო | 12 | 4 | 4 | 4 | 14-19 | 16 |
| 12.ბოლონია | 12 | 4 | 2 | 6 | 11-15 | 14 |
| 13.უდინეზე | 11 | 4 | 0 | 7 | 18-22 | 12 |
| 14.კალიარი | 12 | 4 | 0 | 8 | 11-21 | 12 |
| 15.კროტონე | 12 | 3 | 3 | 6 | 11-23 | 12 |
| 16.სპალი | 12 | 2 | 3 | 7 | 10-20 | 9 |
| 17.სასუოლო | 12 | 2 | 2 | 8 | 6-21 | 8 |
| 18.ჯენოა | 12 | 1 | 3 | 8 | 10-19 | 6 |
| 19.ვერონა | 12 | 1 | 3 | 8 | 8-26 | 6 |
| 20.ბენევენტო | 12 | 0 | 0 | 12 | 5-31 | 0 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.11 | პსჟ-ნანტი | 1.1 | 9.5 | 21.0 |
| 18.11 | დიჟონი-ტრუა | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 18.11 | ტულუზა-მეცი | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 18.11 | სტრასბური-რენი | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 18.11 | გენგამი-ანჟე | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 19.11 | კაენი-ნიცა | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 19.11 | ლიონი-მონპელიე | 1.36 | 4.8 | 8.5 |
| 19.11 | ბორდო-მარსელი | 2.3 | 3.4 | 3.0 |

**პსჟ-ნანტი**

პსჟ: ***ტრავმ***-მარკინიოსი, ანხელ დი მარია, ტიაგო მოტა

ნანტი: ***ტრავმ***-კალიფა კულიბალი

**დიჟონი-ტრუა**

დიჟონი: ***ტრავმ***-ჯულიო ტავარეში, ვესლი საიდი, ნაიმ სლიტი, ვესლი ლაუტოა

ტრუა: ***ტრავმ***-შტეფან დარბიონი, ბენჯამინ ნივე

**ტულუზა-მეცი**

ტულუზა: ***ტრავმ***-ჯიმი დურმაზი

მეცი: ***ტრავმ***-მატეი უდოლი, მილან ბიშევაჩი, ჟან ჟოფრე, აბლი იელოუ

**სტრასბური-რენი**

სტრასბური: ***ტრავმ***-პაბლო მარტინესი, ბენჯამინ კორნე, აბდუ კადერ მანანე

რენი:***ტრავმ***-სანჯინ პრჩიჩი, მორგან ამალფიტანო, ისმაილა სარი, ედსონ მექსე, იოან გურკუფი

**გენგამი-ანჟე**

გენგამი: ***ტრავმ***-ჯორდან იკოკო, ლებოგანგ პირი, იანის სალიბური

ანჟე: ***ტრავმ***-არავინ

**კაენი-ნიცა**

კაენი: ***ტრავმ***-რომან ჟენევო, ვინსენტ ბესო, ალექსანდერ ჯიკუ

ნიცა: ***ტრავმ***-ალან სენტ-მაქსიმი, იგნატიუს კანაგო, ჟან მიშელ სერი

**ლიონი-მონპელიე**

ლიონი: ***ტრავმ***-კლემენტ გრანიე

მონპელიე: ***ტრავმ***-ჟერომ როსილონი

**ბორდო-მარსელი**

ბორდო: ***ტრავმ***-გაეტან ლაბორდე

მარსელი: ***ტრავმ***-პატრის ევრა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 12 | 10 | 2 | 0 | 39-8 | 32 |
| 2.მონაკო | 12 | 9 | 1 | 2 | 34-12 | 28 |
| 3.ლიონი | 12 | 7 | 4 | 1 | 32-15 | 25 |
| 4.მარსელი | 12 | 7 | 3 | 2 | 26-17 | 24 |
| 5.ნანტი | 12 | 7 | 2 | 3 | 11-9 | 23 |
| 6.სტ.ეტიენი | 12 | 5 | 3 | 4 | 13-15 | 18 |
| 7.კაენი | 12 | 6 | 0 | 6 | 8-13 | 18 |
| 8.მონპელიე | 12 | 4 | 4 | 4 | 9-8 | 16 |
| 9.ბორდო | 12 | 4 | 4 | 4 | 16-18 | 16 |
| 10.რენი | 12 | 4 | 3 | 5 | 14-15 | 15 |
| 11.ტრუა | 12 | 4 | 3 | 5 | 12-15 | 15 |
| 12.ტულუზა | 12 | 4 | 3 | 5 | 12-17 | 15 |
| 13.გენგამი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-21 | 14 |
| 14.ანჟე | 12 | 2 | 7 | 3 | 16-19 | 13 |
| 15.ნიცა | 12 | 4 | 1 | 7 | 14-19 | 13 |
| 16.დიჟონი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-21 | 12 |
| 17.ამიენი | 11 | 3 | 2 | 6 | 7-13 | 11 |
| 18.სტრასბური | 12 | 2 | 4 | 6 | 13-23 | 10 |
| 19.ლილი | 11 | 2 | 3 | 6 | 9-15 | 9 |
| 20.მეცი | 12 | 1 | 0 | 11 | 5-24 | 3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მილტონ ჰეიგი უელსთან „კანადურ“ ძირითადს ენდობა




„ბორჯღალოსნები“ 18 ნოემბერს საქართველოს დროით 18:30 საათზე კარდიფში, 75.000-იან „პრინციფალითი სთედიუმზე“ (ყოფილი მილენიუმი), უელსთან მატჩს იმავე შემადგენლობით იწყებენ, როგორითაც გასულ შაბათს კანადასთან ითამაშეს.

მილთონ ჰეიგმა ჩრდილოამერიკელებთან 54:22 მოგების შემდეგ სასტარტო 15-ეული უცვლელი დატოვა.

პირველ ხაზში მიხეილ ნარიაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე და ლევან ჩილაჩავა დადგებიან, მეორე ხაზში – კოტე მიქაუტაძე და გიორგი ნემსაძე შეწყვილდებიან, ხოლო მესამე ხაზს ლაშა ლომიძე, ვიტო კოლელიშვილი და ბექა ბიწაძე შეადგენენ.

9-10 ნომრები ვასილ ლობჟანიძე და ლაშა ხმალაძე იქნებიან, ცენტრში მერაბ შარიქაძისა და დავით კაჭარავას წყვილს ვიხილავთ, ფრთებზე მირიან მოდებაძე და გიორგი კოშაძე ითამაშებენ, ხოლო ფულბეკი სოსო მათიაშვილია, რომელმაც კანადას 34 ქულა გაუკეთა.

მარქაფაში ერთი სიახლეა – გიორგი კვესელაძის ნაცვლად გამოცდილი მერაბ კვირიკაშვილი გამოჩნდა, რომელიც უელსთან 107-ე კეპს მოიხვეჭს. იქვეა რევაზ ჯინჭველაშვილი და 9 ნომერი გიორგი ბეგაძე. შერკინების პირველ ხაზს შალვა მამუკაშვილი, კარლენ ასიეშვილი და სოსო ბეკოშვილი შეცვლიან, მეორე ხაზში გიორგი ჩხაიძე გამოჩნდება და თუ მოედანზე გავა (დიდი ალბათობით ასე იქნება) 99-ე კეპს მოიხვეჭს (ერთი კვირის შემდეგ ამერიკასთან შეხვედრისას კი მესამე ქართველი ცენტურიონი გახდება), ხოლო მესამე ხაზში გიორგი თხილაიშვილია.



# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 20 ნოემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მოგზაური დორა" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 01.45 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15"სპორტის დაფა" 12.40"კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე 13.25, 22.15 ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" 14.30დოკ/ფ "ავტოდახმარება" 15.30, 06.30 დოკ/ფ "ამერიკის ხელოვნება" 16.30 ტ/სერ. "**ველვეტი**" 18.30 საბავშვო ევროვიზიის გახსნის ცერემონიალი - კენჭისყრა 20.00, 02.45 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 23.15ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 23.35 მხ/ფ "**პირველი რაინდი**" (რ.გირი) 03.45 მხ/ფ "**ჯანგო თავისუფალია**" (ლ.დიკაპრიო)

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.20 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ქალაქის გული**" 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 ნიჭიერი 00.30 მხ/ფ "**კარგი ბიჭები**" 02.30 მხ/ფ "**ძარცვა ბეიკერ სთრითზე**" 04.35 მხ/ფ "**სასიკვდილო დარტყმა**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ზზარი**" 22.00 ჩემი სამზარეულოს წესები23.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

**tv პირველი** 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00 მხ/ფ 20.00 ხალხის პოლიტიკა 22.30 საქმის კურსი 23.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 23.30 ღალატი

**GDS** 08.00 ან/ფ "**ვარსკვლავური ომები 2**" 09.00 სერ. "**შავი კოდი 2**" 1-2 სერ. 11.00 მხ/ფ "**ტალადეგას ღამეები**" 13.00 სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები 5**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები-4**" 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი-5**" 20.00 სერ. "**ცისფერი სისხლი-6**" 21.00 სერ. "**ლურჯის ელფერი**" 22.00 მხ/ფ "**სიმამაცის კანონი**" 00.10 მხ/ფ "**საგანგებო ექსტრადიცია**" 02.20 მხ/ფ "**სამი მეფე**" 04.20 მხ/ფ "**უტეხი**" 06.20 მხ/ფ "**ცეცხლი და ყინული**"

